სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | ორშაბათი, 13 ოქტომბერი | 1997 №126 (491) | ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლევამი სასახელოები

საქართველო 3
პოლონეთი 0

საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი გამარჯვებით დაასრულა. ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა შესარჩევ ტურნირში პირველად ითამაშა სამი მატჩი წაუგებლად. პირველადაა, სამ მატჩში გოლიც რომ არ გაუშვია და მეორედ შეძლო დიდი ანგარიშით მოგება.

მონატრებული გოლების სიხარული

II ჯგუფის საბოლოო ცხრილი						
ინგლისი	8	6	1	1	15:2	19
იტალია	8	5	3	0	11:1	18
პოლონეთი	8	3	1	4	10:12	10
საქართველო	8	3	1	4	7:9	10
მოლდოვა	8	0	0	8	2:21	0

მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა რომ დავრჩით, არახალია, მაგრამ ჯგუფში მესამე ადგილზე გასავლელად შაბათის მატჩში ერთი გოლიღა დაგვაკლდა. ტურნირი მორჩა. მან შესარჩევებში ნათამაშევი პირველი ფრე და სამმატჩიანი წაუგებელ-გოლგაუშვებელი სერია შეგვძინა.

საქართველო — სორვატია 29:15

ამგვარი მომენტი იშვიათი იყო — ამდენ ჯაჯგურ-ჯაგურში ბურთი გარეშე თვალისგან დაფარული იყო

რაგბი იყო ჯიგრიანი

ფეხბურთელთა ტყუპი გამარჯვებით დაწყებული საბურთაო უქმეები ღირსეულად დააგვირგვინეს მორაგბეებმა. 1999 წლის IV მსოფლიო თასის პირველ შესარჩევ მატჩში ქართველმა „ბორჯღალოსნებმა“ 29:15 ძლიეს ხორვატიის რიგიანი გუნდი და დასკვნითი სტადიისკენ მიმავალ გრძელ, მრავალ-საფეხუროვან გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგეს.

ნათქვამია, გემოვნებაზე არ დაობენო. ჩვენს ბიჭებს ჯანი, სისხარტე, შემართება, თავდადება, შეხმატკბილება ნამდვილად არ აკლდათ, სრულიად დამსახურებულადაც მოიგეს და ნაღვაწით კმაყოფილიც უნდა იყვნენ. უეჭველად ასევე ფიქრობენ საქართველოს რაგბის კავშირის დიდ-მოხელეებიც, რაკი მორიგი მოგება შეემატა ჩვენი უპირველესი გუნდის მონაგარს. იქნებ რაგბში გაუთვითცნობიერებულ მაყურებელსაც მოწონებოდეს ბურთით ამდენი ომი, ჯაჯგური და ზედახორა, თანამედროვე რაგბის ნაცვლად უფრო XIX საუკუნის ლელო-ბურთს რომ ჩამოგავდა, მაგრამ იმას კი ვერსად წავუვალთ, რომ ჩვენების გუშინდელი თამაში დიდზე დიდი ბლეფი იყო.

ნამატჩევს ჩვენმა კოლეგა ზვიად შათირიშვილმა მოსწრებულად შენიშნა, ქართველებმა რა რაგბიც იცოდნენ, ფრანგმა მოძღვარმა კლოდ სორელმა დაავიწყა, ხოლო რაც ასწავლა, ის ჩვენებს ხორვატებთან შებმისას არც გახსენებიათო. დიახ, ბატონ სორელს შესაძლოა მართლაც საგულისხმო შეხედულებები აქვს რაგბზე და ჩვენს ხელმოკლე კავშირსაც ალალად ეხმარება, მაგრამ ის კი არასწორად გვეჩვენება, რომ უცხო კაცი ადგენს ნაკრების შემადგენლობასა და თამაშის მონახაზს.

ამითი რაც გამოგვივიდა, რაგბის მცოდნე ხალხმა თვალნათლივ დაინახა. „ბორჯღალოსნებს“ მწვრთნელის ხელი გუშინ არ ეტყობოდათ. რაზმის მაგივრად გავდნენ მგლების ერთ მოზრდილ ხროვას, რომელსაც ბედად რამდენიმე კარგი ბელადი უძღოდა, და ბოლოს მაინც გააბითურა უფრო საზრიანი მელიების გუნდი.

თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ამჯერად გაგვიმართლა. დანიაში ალბათ ამ შაბათსაც გავიმარჯვებთ, მაგრამ ის კი უდაოა, რომ 20 მაისს რუსეთთან ეგზომ პრიმიტიული რაგბით ვერაფერი გამოგვივა. მოკლედ, კლოდს მადლობა უნდა ვუთხრათ და ჭკუას ისევ ჩვენს მწვრთნელებს დავეკითხოთ. მათ ქართველთა ბუნება ფრანგზე მილიონჯერ უკეთ იციან.

ილიეთ მეექვსე გვერდი

ყიფიანი აღმასკომს დაელოდება

ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელობაზე დავით ყიფიანის უარმა ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქართველთა ნაკრებმა პოლონელები გაანადგურა — ყიფიანი რიხიანად კი ტოვებს მთავარი მწვრთნელის პოსტს, მაგრამ ასეთი ანგარიშის და თამაშის შემდეგ იქნებ მაინც გადაიფიქროს და თავისი გადაწყვეტილება შეცვალოსო. ბევრჯერ გაიგონებდით ამგვარ ვარაუდებს შაბათს საღამოს. სიმართლე ვთქვათ, ასეთი მოსაზრებები სულაც არაა საფუძველს მოკლებული. თუნდაც იმიტომ, რომ ყიფიანს ჯერაც არ შეუტანია ფეხბურთის ფედერაციაში თანამდებობიდან განთავისუფლების განცხადება, თანაც, ეჭვებს რევაზ ძოძუაშვილის პრეს-კონფერენციაზე ნათქვამიც აღრმავებს, იქნებ ყიფიანს ეთხოვოთ და მიღებული გადაწყვეტილება შეცვალოსო. როგორ დამთავრდება ეს ამბავი, ჯერჯერობით უცნობია. გუშინდელი დღე მთლიანად დავით ყიფიანის ძებნას შეეალიეთ, მაგრამ ვერსად მოვიხელთეთ, პირადი საქმეებით არის დაკავებული, გვითხრეს. ამიტომაც კომენტარისთვის ფედერაციის გენერალურ მდივანს დავით კვინიკაძეს მივმართეთ, რომელმაც გვაუწყა — ყიფიანი აღმასკომის დანიშნულია მთავარ მწვრთნელად და მისი განთავისუფლებაც აღმასკომის პრეროგატივაა. სხდომაზე, რომლის ჩატარების თარიღიც ჯერჯერობით არ დაგვიდგენია, ყველაფერს ავწონ-დაწონით, ყიფიანის არგუმენტებსაც მოვისმენთ და მაშინ გადავწყვეტთ ყველაფერს. ამაზე მეტს ახლა ვერაფერს გეტყვით. ისე, ყიფიანის გადაწყვეტილების თაობაზე პირველად მე „სარბიელიდან“ შევიტყვე. ყიფიანის განცხადება ფედერაციაში ჯერაც არ შემოსულაო, დაამატა ბატონმა კვინიკაძემ.

ერთი სიტყვით, ასე: დავით ყიფიანის მიერ მწვრთნელობაზე უარის თქმის თაობაზე აღმასკომმა უნდა იმსჯელოს. თუმცა, არა მგონია, აღმასკომის წევრებს ყიფიანის გადაწყვეტილების მიმართ რაიმე ჰქონდეთ საპრეტენზიო. ბოლო სიტყვა მაინც ყიფიანზე იქნება. მისივე ნალაპარაკევიდან გამომდინარე ძნელი დასაჯერებელიც კია, პოზიცია შეიცვალოს და სიტყვა უკან წაიღოს. აღმასკომს მხოლოდ ყველაფრის იურიდიულად გაფორმებაღა დაევალება.

ძოგა ინასარიძე

გიორგი რევაზიშვილი

პარიზში დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატიდან ქართველი ძიუდოისტები ორი მედლით ბრუნდებიან: გუშინ 60 კგ წონის ფინალში იაპონელმა ნომურამ გიორგი რევაზიშვილი ვერცხლის მედალს დააჯერა, პარასკევს კი გიორგი ვაზაგაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ილიეთ მერვე გვერდი

მსოფლიოს ჩემპიონატი

II შესარჩევი ჯგუფი

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 11 ოქტომბერი

საქართველო 3:0 პოლონეთი

1. ტოგონიძე
3. ცხადაძე
2. ლობჟანიძე 5. ჩიხრაძე
4. შელია
7. ნემსაძე
10. ყაველაშვილი 9. ქეცბაია 6. გახოკიძე
8. ა. არველაძე
11. შ. არველაძე

11. გილევიჩი 9. იუსკოვიაკი
8. ივანი 10. ბჟეზეკი 7. სვერჩევსკი
6. მაიაკი
2. ვალდოხი
5. კოზმინსკი 4. იუქვიაკი
3. ლაპინსკი
1. კლაკი

შეცვლა: სვერჩევსკი — 15. ლედვონი (61), გახოკიძე — 14. ჯაფარაული (63), გილევიჩი — 14. ბუკალსკი (73), ა. არველაძე — 16. გოგიჩაიშვილი (82), იუსკოვიაკი — 20. კუხარსკი (83), ქეცბაია — 17. კიკნაძე (88)

1:0 ა. არველაძე (55), 2:0 ცხადაძე (66), 3:0 ქეცბაია (73)

გაფრთხილება: ივანი, ლობჟანიძე, ყაველაშვილი, ბჟეზეზეკი, მაიაკი, გახოკიძე, ნემსაძე, ლაპინსკი

გაძევება: მაიაკი (60), ყაველაშვილი (77)

მსაჯი: ლ. მიხელი (სლოვაკეთი)

გიორგი ნემსაძე შაბათს ერთ-ერთი საუკეთესო იყო. დაცვაშიც ხეირიანად ირჯებოდა და შეტევაშიც

გაფრი ჯობლიანის ფოტო

პირველი თავით და ბოლო თავიანად?

დავით ყიფიანმა ნაკრებიდან წასვლა დააპირა და პოლონელებთან მოგებით კარიც გაიჯახუნა

შაბათს ყველას კატოვიცე ახსოვდა. ბევრს მისი განმეორების ეშინოდა. მითუმეტეს, ამას პოლონელები მეტისმეტი თავდაჯერებით იქადნებოდნენ. არადა, მატჩის მერე არაერთისგან გაიგონებდით: ამათ იქ როგორ ვერ მოვუგეთო. ვანა მართლა „ამათ“. პოლონეთში უფრო სუსტებმა გაგვანადგურეს. თუმცა, პოლონურ ფიასკოზე ლაპარაკი კარგა ხნის მორჩენილია და ახლა ამაზე აღარც ღირს. სჯობს, გუშინწინდელ მატჩზე ვთქვათ, მით უმეტეს, რომ ამანაც არაერთი კითხვა დაბადა. სხვისი არ ვიცი და, მე პირადად შაბათს ოპტიმისტურად შევხვდი. ოპტიმიზმის მიზეზი კი უფრო სტატისტიკოსის ცრურწმენა გახდათ, ვიდრე ჩვენი ნაკრების რწმენა. სწორად გამგეთ, ერთია სურვილი, რომ შენი ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა მომხდურისას მოუგოს და მეორეა, ამ მოგებისა გჯერა თუ არა. ასეთ რწმენას ნაკრების ძლიერება გმატებს და მის განსამტკიცებლად თვით იტალიასთან ნათამაშევი ფრეც არ კმარა. ამას წლები და ათწლეულები სჭირდება. მოგებებით, გამართული თამაშით, ბრძოლის უნარიანობითა და შრომისმოყვარეობით გაჯერებული ათწლეულები.

მოკლედ, შაბათს იმედიანად ველოდი, და აი, რატომ: ბევრს გაახსენდა, რომ ბულგარეთსაც 11 ოქტომბერს ვეთამაშეთ. მე კი ისიც გავიხსენე, რომ ბალკანელები ჩვენთან ჩამოსვლამდე ოთხი დღით ადრე შინ ალბანელებს დაუხვდნენ და 3:0 მოუგეს. ამჯერად კი პოლონელებმა ასევე ოთხი დღის წინ კიშინიოვში 3:0 მოლდოვა დააშამათეს.

მოლოდინი გამიმართლდა. მატჩამდელი განცდების გაზიარება კი იმად მომიხდა, რომ პოლონელებთან გამარჯვება დასაფასებელი კია, მაგრამ არა ზედმეტად. ამის გასამართლებლად იქნებ სწორედ კატოვიცეს მაგალითმაც იკმაროს. მაშინ ჩვენ ვესტუმრეთ პოლონეთს კვირის წინ მოლდოვის მძლეველთა რანგში.

კიდევ ერთი მიზეზია, რამაც ბულგარეთი გამახსენა. პოლონეთი, რა თქმა უნდა, ჩვენი ჯგუფის ბულგარეთი ვერაა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ II ჯგუფს ორი „გერმანია“ — ინგლისი და იტალია ჰყავს, რატომაც არა? ჰოდა ვთქვათ, მაშინ, ბულგარელებთან ბრძოლისას პარქტიკული მოტივაცია არ გაგვაჩნდა და მაინც მოვიგეთ. ახლა, პოლონელებთან გვარიანად კი მოვიგეთ, მაგრამ მესამე ადგილზე გასასვლელად რომ გვკმაროდა, ისე — ვერა. არც ხუმრობაა — პოლონეთთან 4:0-ის მოგება ძალიან ძნელია, თუმცა ასეც შეიძლებოდა მომხდარიყო. არადა, მატჩის დასაწყისი მაინცდამაინც ჩვენს წაგებას არა, მაგრამ სულ სხვა რამეს კი მოასწავებდა.

უკვე მე-5 წუთზე პოლონელებმა პირველი შეტევა განახორციელეს, მაგრამ ივანმა იუსკოვიაკის პასი ვერ გამოიყენა, ააცილა და მალევე მატჩის პირველი ყვითელი ბარათიც დაიმსახურა. ამან პოლონელთა გაცუდებულ მომენტებსა და გაფრთხილებებს მისცა დასაბამი, რომელიც მსაჯმა რვაგზის თითოჯერ უჩვენა ფეხბურთელებს, ორგზის კი მეორედ — მაიაკსა და ყაველაშვილს.

მე-7 წუთზე ისევ ივანმა ბჟეზეკის პასი ვერ გამოიყენა, უფრო სწორად კი, ამაში ტოგონიძემ შეუშალა ხელი, რომელმაც ძლიერი დარტყმა მოიგერია.

პირველი ათწუთეულის ბოლოს ნემსაძეს ყაველაშვილი და შოთა არველაძე ეხსნებოდნენ, ამან ყაველას პასი დაუგვიანა და შოთასთვის მიწოდებულ ბურთს კი პირველი მეკარე კლაკი დაეუფლა.

მე-12 წუთზე ქართველებმა ის მოიმოქმედეს, რასაც ძალიან დადხანს ამაოდ ველოდით. არა, გოლი არ გაუტანიათ, უბრალოდ, ჩვენებმა კუთხურისას ბურთი მხოლოდ თამაშში კი არ დააბრუნეს, არამედ წინასწარგანზრახული სტანდარტული მდგომარეობა გაითამაშეს და ქეცბაია, გახოკიძე, არჩილ არველაძის კომბინაციიდან ჩაწოდებულ ბურთზე ნემსაძის ძლიერ დარტყმას იუჟვიაკი გადაეღობა. ამან ხუთ წუთშიც იხსნა თანაგუნდელები, როცა გახოკიძის პასით არჩილმა კოზმინსკი მოატყუა და ტეუპისცალისთვის ჩაწოდებული ბურთი კვლავ იუქვიაკმა გამოიტანა.

მე-18 წუთზე არჩილი ყაველაშვილთან კედელის გათამაშებას ეცადა, მაგრამ ამან თავადვე დაარტყა და კლაკმა იოლად აუღო. ორ წუთში კი გახოკიძის ჩაწოდებულს შოთამ ნახტომში ისეთი თავური უთავაზა, პოლონელთა მეკარეს ბურთი ასაღებად წინანდელზე მეტი გარჯა დასჭირდა.

ამას თხუთმეტწუთიანი უმოქმედო პერიოდი მოჰყვა, უკეთ კი, თამაში მინდვრის შუაგულში გახურდა და საჯარიმოებს ხიფათი ძნელად უწევდა. თუმცა, ტაიმის ბოლოს სტუმრებმა ლამის იხეირეს. ამჯერადაც ტოგონიძემ გვიხსნა: იუსკოვიაკის პასზე ნიკამ საჯარიმოში შეჭრილ მაიაკს კუთხე შეუმცირა და უზუსტოდ დარტყმა აიძულა.

პირველი ნახევარი უგოლოდ მორჩა. ამის მიუხედავადაც, იგრძნობოდა, ქართველთა ერთ გოლს შეეძლო მათი მოდგენო შეტევებიც გოლებად ექცია. ასეც მოხდა.

მეორე ტაიმის მე-10 წუთზე შოთამ ყაველაშვილსა და არჩილს შორის ძმა ირჩია, მარჯვენა ფლანგიდან უფრო უკან დარჩენილ არჩილს მიაწოდა ცენტრში, ამანაც ბურთი წვალებით კი მოატრიალა, მაგრამ შორეულ კუთხეში მაინც გაიტანა.

პირველ გოლს ბურნებრივი პაუზა მოჰყვა, იქნებ ასეც გაგრძელებულიყო კარგა ხანს, მაგრამ, სტუმართა საყრდენი მაიაკი დაშავდა და შეცვლა ითხოვა, მაგრამ იანუშ ვუჩეკმა მინდორზე შესასვლელად გამზადებულ ლედვონს მანამდე აცდევინა, ვიდრე მაიაკმა მეორე გაფრთხილება არ დაიმსახურა და არ გააძევეს.

რიცხვმეტობამ ქართველები კვლავ საიერიშოდ შეაგულიანა და მათ შეტევებს ახალი საფუძველი ჯამარაულმა ჩაუყარა. იგი მინდორზე გახოკიძის ნაცვლად გამოვიდა. გახოკიძისა, რომელმაც არაერთხელ მწვავედ ჩააწოდა, დაცვაში ჩიხრაძესაც მეტისმეტად შეეშველა და მწვრთნელის წყრომა, თუ ამას წრომა ჰქვია, მხოლოდ იმით თუ დაიმსახურა, რომ არცთუ იშვიათად თავს ზედმეტად იტვირთავდა.

გოჩა ჯამარაულის ბურთთან ლამის პირველივე შეხება ჯადოსნური გამოდგა. 66-ე წუთზე შოთას მოპოვებული ჯარიმა ჯამარამ იმ სიმაღლეზე დაჰკიდა, რომ კახი ცხადაძემ თავი ლამის ხელივით მოიხმარა და კარგა შორიდან ძლიერი დარტყმით გაუტანა კლაკს. სამ წუთში თვითონ ჯამარაულს შეეძლო გატანა, მაგრამ ყაველაშვილის პასზე ოდნავ წინ მდგომი მეკარე რომ დაინახა, ძლიერი მოაბრაგანო დაურტყა და ააცილა. ამით დაუოკებელმა ჯამარამ ოთხ წუთში მორიგი იერიში წამოიწყო: საჯარიმოს ხაზთან შოთას მიაწოდა, მან ქეცბაიას დაუგდო ბურთი და საჯარიმოში შეჭრილმა თუმურმა ფეხებშორის გაუტანა კლაკს.

ყველაფერი ლიგიკურად აეწყო. ქართველებს მიზნის მიღწევაც შეეძლოთ, მეოთხე გოლიც რომ შემდგარიყო, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე სლოვაკმა არბიტრმა ყაველაშვილიც მეორე გაფრთხილებით გააძევა და ჩვენების შეტევებიც აქ ჩაქრა. ყაველაშვილის გაძევება ბევრს, ჩემდა გასაკვირად, გულზეც მოეფონა. ეს ის ხალხი იყო, ვინც კარგა ხანს მის შეცვლას ითხოვდა. ერთმა ისიც თქვა, მაგაზე ნელა, მგონი, მხოლოდ ტრამვაი დადისო. სიმართლე გითხრათ, არა მგონია, სიარულში ყაველამ აჯობოს ტრამვაის. ისიც ვთქვათ, მისი სისწრაფე სულ მცირე, მეტის სურვილს გვიჩენს, მაგრამ ერთი ისაა, რომ ვერც სხვა ქართველები დაიკვეხნიან სპრინტერობით და მეორეც, ლამის ყველა შეტევა ყაველაშვილის მონაწილეობით წარიმართა. მის მიმართ საპრეტენზიო ბევრი რომ არ გვაქვს, ეს იმანაც დაგვიდასტურა, რომ ყაველაშვილის გაძევების შემდეგ ჩვენებმა ვერანაირი ხიფათი ვერ შექმნეს და პირიქით კი მოხდა.

საბოლოოდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ტოგონიძემ პირველი ტაიმის ბოლოს თავით ხომ მოიგერია შელიასგან სახიფათოდ დაბრუნებული ბურთი და ერთხელაც მატჩის მიწურულს იუსკოვიაკს წიხლის ფასად გადაეღობა. მოკლედ, ტოგონიძეს სამი თამაშია, გოლი არ გაუშვია, ეს არა მარტო მისი, არამედ ნაკრების რეკორდიცაა. კიდევ ერთი სიახლე კი ცხადაძის თავური იყო. ამხანაგურ მატჩებს ვერ დავიჩემებ და, შესარჩევებში კი თავური გოლი პირველად გავიტანეთ. ეს კარგი ნიშანია, როგორც იქნა, თავითაც ავთამაშდით და აწიც თუ უფრო თავიანად ვითამაშებთ, მთლად კარგი. თუმცა, რაღა აწი. ეს ციკლიც ჩათავდა. ყიფიანმაც, წასვლას რომ ეპირება, კარი შთამბეჭდავი მოგებით გაიჯახუნა.

ვახტანგ გზიკაძე

კახა ცხადაძეს ისტორიული გოლი გააქვს: პირველი თავური შესარჩევ მატჩებში

გაფრი ჯობლიანის ფოტო

პრესკონფერენცია

მატჩის დამთავრება და საპრესკონფერენციო დარბაზის გავსება ერთი იყო. ჟურნალისტებზე მეტი აშკარად ცნობისმოყვარე გულშემატკივრები იყვნენ. ერთ-ნული გუნდის თავკაცის მოლოდინში ათასი რამის გაფიქრება მოვასწარი, მაგრამ ამჯერად მოლოდინი არ გამართლდა — ყიფიანი არ მოსულა. მწვრთნელმა თავისი სიტყვა თამაშის წინადღით თქვა. ახლა საკითხავი ის არის, როდის გაიმართება ის შეპირებული პრესკონფერენცია, რომელზეც ყიფიანმა ბევრი საინტერესო რამ უნდა მოგვითხროს. იმედია, ლოდინი დიდხანს არ მოგვიწევს.

დარბაზში პირველი რევაზ ძოძუაშვილი შემოვიდა და უმალ საქმეზე გადავიდა, რადგან მისი სტუმარი კოლეგა იგვიანებდა. ის კი არა, პრესკონფერენციას არე ერთი პოლონელი ჟურნალისტი არ ესწრებოდა იმიტომ, რომ, უბრალოდ, მათთვის არავის შეუტყობინებია.

ძოძუაშვილმა დაწყებული საუბარი შეწყვიტა და დაგვიანებულ სტუმარს მიკროფონი თავაზიანად დაუთმო. იანუშ ვუიჩეკმა ლამის იგივე გაიმეორა, რაზეც წინადღით იგივე დარბაზში პოლონელთა ახალგაზრდული გუნდის თავკაცი წუწუნებდა.

...მცველებმა სუსტად ითამაშეს, მოლდოვის მეჯე ძალები ვერ აღვიდგინეთ, თქვენი ბიჭები ძალზე მაღალტექნიკურები არიან, დიდებულად ითამაშეთ, მსაჯს ჩვენს მიერ გატანილი გოლი უნდა ჩაეთვალაო. ვუიჩეკმა ისიც აღიარა, თამაშის წინ იმიტომ ვიქადნებოდით, თქვენებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოგვეხდინაო. ამ სიტყვების წარმოთქმისას ვუიჩეკს სახეზე სიმწრის ღიმილი დასთამაშებდა და ცოტა გახუმრებაც სცადა...

სტუმარი მალე დაგვემშვიდობა და წასასვლელად წამოიმართა. ზუსტად ამ დროს დარბაზში შუქი ჩაქრა. ვუიჩეკი ამან ვერ შეაკრთო, თავისი არ დაიშალა, მიმავალი გზად რაღაცას წამოედო და ერთ-ერთმა ჩვენებურმა გადაარჩინა ხიფათს.

ამის მერე ძოძუაშვილმა შეწყვეტილი საუბარი განაგრძო.

პირველ რიგში ნაკრების გამარჯვება მოგვილოცა და თან ყველას მადლობა მოახსენა.

...ამათი თამაში კარგად შევისწავლეთ და სწორი ტაქტიკაც შევარჩიეთ. პოლონელებმა საწყის 15 წუთში მაქსიმუმი აჩვენეს, მეორე ნახევარში ცოტა კორექტივები შევიტანეთ და გაამართლა ჩვენმა ჩანაფიქრმა.

...ბოლო სამ მატჩში გუნდის სახე გამოიკვეთა. ფიზიკურად, ტაქტიკურად და ფსიქოლოგიურადაც მზად ვიყავით...

...კარგად ითამაშეს შელიამ, შოთამ, ქეცბაიამ და ნემსაძემ. დანარჩენებმაც თავი დადეს...

...თავიდან ლობჟანიძეს და ჩიხრაძეს გაუჭირდათ კიდეც, მაგრამ მერე და მერე გამოფხიზლდნენ...

...ბევრი მოთამაშე გვაკლდა, მაგრამ შევძელით, ზონებში შექმნილი დეფიციტი შეგვევსო. კიდევ ერთი გოლი გვჭირდებოდა, მაგრამ ყველაშვილის გაძევებამ საქმე გაიფუჭა...

...მიხეილ ფოცხვერიას უს თამაშიც ჩაეთვლება, რადგან ის საერთო განაცხადშია შეყვანილი...

...ყიფიანმა გუშინ გამოაცხადა, გადავდექი, მაგრამ იმედი მაქვს, დათო და ფედერაცია კომპრომისს გამონახავენ. ყიფიანი თვლის, რომ გუნდის აღმავლობისთვის მეტია საჭირო და ეს მართალია. მე მას მუდამ მხარში დავუდგები, არც ის უნდა იყოს უკმაყოფილო ჩემი მუშაობით. ფედერაციასთან მოლაპარაკება და შეთანხმება, ალბათ, შედეგს მოიტანს. ყიფიანის წასვლა ახლა, როცა გუნდი აღმავლობის გზაზეა, არ შეიძლება. მთავარია, საქმე გაკეთდეს, თორემ ეს ნაკრები არც ფედერაციის და არც ჩვენი არ არის, ის ხალხს ეკუთვნის. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, წასვლას რა უნდა, ამქვეყნად არავინ დაიკარგება...

მიხიჩასთვის შუქი არავის გამოურთავს და არც ტაშით გაცილება მოჰკლებია.

მამუკა ძვანტალიანი

იანუშ ვუიჩეკი და რევაზ ძოძუაშვილი

მატჩის შემდეგ

აჩიკო არველაძე:

— ერთხელ ჯიგრიანად ჩვენც ხომ უნდა მოგვეგო? მოვიგეთ კიდეც. ეს ციკლის ბოლო თამაში იყო და გვსურდა, კარგად დაგვესრულებინა. ჩვენ კი კარგა ხანს ერთად, ალბათ, ვერ ვითამაშებთ, მოვინდომეთ და ხედავთ, პოლონელებს რა ვუქენით. ხომ იცით, ბოლოს ყველა ტაბლოს უყურებს. ტაბლოც და თამაშიც ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებდა.

— ერთი წლის წინანდელ აჩიკოსთან შედარებით ბრედელი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეტყობა, ფორმას იბრუნებ...

— მარტო მე კი არა, უფრო ძლიერ გუნდებში ბევრნი გადავედით და ეს ნაკრებსაც დაეტყო. თანაც, ხალხი იმედით გვიყურებს, მათ გამარჯვება სწყურიათ და ჩვენ ვალდებულნი ვართ, ბოლომდე დავიხარჯოთ. მიხარია, დღეს ეს რომ შევძელით.

ნიკა ტოგონიძე:

— თბილისში იტალიელები რომ ჩამოვიდნენ, ისინი არ ყოფილან ისე დიდგულად, როგორც პოლონელები. ერთობ თამამი პროგნოზები ჰქონდათ. მათი ასეთი განწყობა გამაღიზიანებელი იყო. მწვრთნელით დაწყებული მოთამაშეებით დამთავრებული ყველა გულარხეინად ამბობდა, დიდი ანგარიშით გავიმარჯვებთო. როგორც გაამარჯვეს, ნახეთ. თავაწეულნი ღირსეულად დავსაჯეთ და რევანშიც დამაჯერებლად ავიღეთ.

მესამე შეხვედრაა, მცველები ბრწყინვალედ მოქმედებენ. თუნდაც ის რად ღირს, რომ თითქმის ყველა საჰაერო ბურთი ცხადაძემ და შელიამ მოიგერიეს, ფლანგებიც ძირითადად საიმედოდ იყო ამოკეტილი. მცველები კარგად თამაშობდნენ, ნახევარმცველები ეხმარებოდნენ, თავდამსხმელებიც სტუმრებს მოსვენებას არ აძლევდნენ. აბა, სხვა რა არის გამარჯვებისთვის საჭირო? შედეგმაც არ დააყოვნა.

ნუგზარ ლობჟანიძე:

— ვფიქრობ, ჩვენი თაობა უფრო მაღალი მიზნების განსახორციელებლად მომწიფდა. მწვრთნელთა გამუდმებული შთაგონებით და თამაშიდან თამაშამდე ვირწმუნეთ, რომ მართლაც შეგვიძლია ნებისმიერ მაღალი დონის მეტოქეს გაეუწიოთ ღირსეული წინააღმდეგობა. და თუ ნაკრებს მეტი ხელშეწყობა ექნება, სავსებით შესაძლებელი გახდება ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა. ხომ ნახეთ, რა კარგი თამაში გამოგვივიდა? შემდეგ ციკლში აუცილებლად ვიბრძოლებთ ფინალში გასასვლელად. დღეს კი პოლონელები ყველანაირად დავჩაგრეთ, ძირითადად ტაქტიკისა და უდიდესი მონდომების ხარჯზე.

— რა აზრისა ხარ ყიფიანის გადადგომაზე?

— ყიფიანმა თავისი საქმე უკეთ იცის, მაგრამ ვთვლი, რომ მან ნაკრებში კარგად, შედეგიანად იმუშავა. ასე რომ...

გოჩა ჯალარაულმა ფაქტობრივად რვა თვის უთამაშებელმა, მშვენივრად აუბა მხარი თანაგუნდელებს — ცხადაძეს ჯარიმიდან „კამფეტივით" გადაცემა უსახსოვრა და ძესაძე გოლშიც აქტიურად მონაწილეობდა.

თამაშის წინ ყოველთვის ვგრძნობ, როგორ ამეწყობა საქმე. დღესაც ეხვდებოდი, რომ ყველაფერი ჩემთვის სასურველად წავიდოდა. გამიმართლდა კიდეც.

— იღლიანად შეევედი მოედანზე, ჩემი თავიც გავახარე და ხალხიც. მართალია, მათ ბევრი ლეგიონერი ჰყავდათ, მაგრამ არც ჩვენები თამაშობენ კამაუჩიაში. ან კი ვინ ჰყავთ პოლონელებს ჩვენსავით სახელოვან გუნდებში?

მიხეილ ყაველაშვილი:

— „გრასჰოპერში" მათამაშებენ და ჩემთვის ეს ბევრს ნიშნავს. ვფიქრობ, ნელ-ნელა ფორმას ვიბრუნებ. მართალია, ჰაბეკობა ნაკლებად მეხერხება, მაგრამ დღეს მოვინდომე, ძალ-ღონე არ დამიზოგავს. შედეგიც სავსებით კანონზომიერად მიმაჩნია...

კახი ცხადაძე:

— ხომ ამბობდნენ მოვიგებთო? ხომ ჩამოვიდნენ გაყოყოჩებულნი? საშინლად გაბრაზებული ვიყავი, მინდოდა, თავაწეულებისთვის დიდი ანგარიშით მოგვეგო. თანაც რა მიხარია იცი? პოლონელებმა საუკეთესო ფეხბურთელები ჩამოიყვანეს, ისინი კი არა, კატოვიცეში რომ იყვნენ. ჰოდა, საუკეთესო მეტოქესთან დავამტკიცეთ ჩვენი ძალა, ისიც, რომ მოლდოვაზე ძლიერებიც ვართ და პოლონეთზეც, ინგლისთან და იტალიასთანაც შეგვიძლია თანაბარი თამაში. ახლა, რაკი ჩვენგან მოითხოვენ შედეგს, კეთილი ინებონ და ყველა მხარში ამოგვიდგეს, პრეზიდენტით დაწყებული, უბრალო გულშემატკივრით დამთავრებული. თუმცა, გულშემატკივრებთან რა მაქვს სასაყვედურო, მათ თანადგომას მთელი 90 წუთი ვგრძნობდი. მართალია, ბოლოს გადავიღალეთ, მეოთხე გოლს გასატანად ძალა აღარ გვეყო და ამით უკმაყოფილოებმა სტვენაც დაგვიწყეს, მაგრამ მათიც კარგად მესმის. ჩვენც ბევრჯერ გაგვიწბილებია გულშემატკივარი. იმედია, წყენას დავივიწყებთ. ახლა ყველამ მომავალზე უნდა ვიფიქროთ. ჩვენ ნაკრების დღევანდელ პოტენციალს თუ არ გამოვიყენებთ, ეს მართლაც დანაშაული იქნება.

მურთაზ შელია:

— ბევრი სირბილი მომიხდა წინ და უკან, მაგრამ გამარჯვებისთვის ნამდვილად ღირდა დახარჯვა. გუნდიც ძირითადად შეტევებით იყო დაკავებული და, მგონი, გულშემატკივარი გავახარეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. დღეს ნაკრებმა ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ მეტიც შეგვიძლია. ამას ნაღდად ვგრძნობ.

გოგა გახოკიძე:

— პოლონელებს ძირითადად ჭკუით და უკეთესი ტაქტიკით ვაჯობეთ, მაგრამ ყველა მომენტი რომ გამოგვეყენებინა, უფრო დიდი ანგარიშითაც მოვიგებდით.

გიორგი ჩიხრაძე:

— კატოვიცეში მარცხმა და სტუმართა თავდაჯერებამ გაგვალიზიანა. თუმცა, ეს მხოლოდ დამატებითი სტიმული იყო, ჩვენ ყოველთვის მოსაგებად ვთამაშობთ.

თემურ ქეცბაია:

— პოლონეთის შემდეგ ყველას რევანში გვსურდა. აქ უკვე დიდი ანგარიშით მოგებაზეც არ ვფიქრობდით, მთავარი იყო, ის სირცხვილი ჩამოგვერეცხა. მგონი, დღეს კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. წესით, ყველა კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო. ჩვენთვის ეს არის მთავარი. ვნახოთ, შემდგომ ციკლში, ვინ იქნება ჩვენი მეტოქე, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასასვლელად უნდა ვიბრძოლოთ.

დღეს მეტი მონდომების ხარჯზე მოვიგეთ. რა თქმა უნდა, გამარჯვება პოლონელებსაც სურდათ, მაგრამ ჩვენმა სურვილმა და თამაშმა თავისი ვაიტანა.

შოთა არველაძე:

— დღევანდელი გამარჯვება შემთხვევითი არ არის — ჯერ ერთი, ნაკრებს ლეგიონერები მოუმრავლდნენ, ამავე დროს გუნდიც თანდათან იხვეწება, ზედიზედ ორმა წარმატებულმა თამაშმა რწმენა განგვიმტკიცა, ბიჭებიც ერთმანეთს შევეწყვეთ. თანაც დავინახეთ, რომ მეტი ჟინით უნდა გვეთამაშა. კარგია, ჩანაფიქრის განხორციელება რომ შევძელით.

გიორგი ნემსაძე:

— წლოვანება, გამოცდილება გვემატება და უკეთეს შედეგსაც ვიმკით. თანაც თამაში, პოლონელებზე ნაკლები არ ვიცით. და გამარჯვებას წინ რა დაუდგებოდა? თავარი, რითაც ვაჯობეთ, მაინც ჩვენი გულიანი თამაში იყო.

...ასეთი რამ არასდროს მინახავს. გასახდელთან მოზღვავებული უამრავი გულშემატკივარი ფეხბურთელებს მადლიერების ნიშნად ოვაციებითა და ტაშით აცილებდა. ეს სიხარული ყველამ გაიზიარა.

მერაბ მამულაშვილი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

I ჯგუფი

საბერძნეთი 2:3 დანია
სლოვენია 1:2 ხორვატია

დანია	8	5	1	2	16:9	16
საბერძნეთი	8	5	1	2	12:7	16
ხორვატია	8	4	0	4	13:9	12
სლოვენია	8	3	0	5	9:13	9
ბოსნია	8	1	2	5	6:18	5

II ჯგუფი

საქართველო 5:1 პოლონეთი
იტალია 0:1 ინგლისი

ინგლისი	8	5	3	0	7:1	18
საქართველო	8	3	3	2	10:10	12
იტალია	8	3	2	3	17:6	11
პოლონეთი	8	1	5	2	10:15	8
მოლდოვა	8	1	1	6	5:17	4

III ჯგუფი

ფინეთი 3:1 უნგრეთი
შვეიცარია 0:0 საფრანგეთი

საფრანგეთი	7	4	3	0	11:5	15
ნორვეგია	7	4	2	1	19:8	14
ფინეთი	8	2	3	3	8:10	9
შვეიცარია	8	2	3	3	13:17	9
უნგრეთი	8	1	1	6	9:20	4

დარჩენილი მატჩი. 29 ოქტომბერი: საფრანგეთი — ნორვეგია

IV ჯგუფი

შოტლანდია 2:4 ლატვია
ავსტრია 2:0 ბელარუსი

შვედეთი	10	9	0	1	30:6	27
ბელარუსი	10	6	2	2	17:7	20
ავსტრია	10	6	2	2	21:12	20
ლატვია	10	2	2	6	6:18	8
შოტლანდია	10	2	1	7	10:20	7
ესტონეთი	10	1	1	8	4:25	4

V ჯგუფი

რუსეთი 3:2 გულგარეთი
კვიპროსი 5:0 ლუქსემბურგი

რუსეთი	8	6	1	1	27:7	19
ისრაელი	8	5	2	1	17:9	17
ბულგარეთი	8	4	0	4	16:12	12
კვიპროსი	8	3	1	4	16:15	10
ლუქსემბურგი	8	0	0	8	3:36	0

VI ჯგუფი

ჩეხეთი 2:3 სლოვაკეთი
მალტა 0:6 იუგოსლავია

ესპანეთი	8	7	1	0	18:6	22
იუგოსლავია	8	6	0	2	14:3	18
სლოვაკეთი	8	3	1	4	16:10	10
ჩეხეთი	8	3	0	5	13:13	9
მალტა	8	0	0	8	0:29	0

VII ჯგუფი

ჰოლანდია 3:0 თურქეთი
ბელგია 1:0 უელსი

ჰოლანდია	8	6	1	1	26:5	19
თურქეთი	8	5	0	3	16:8	15
ბელგია	8	4	1	3	16:12	13
უელსი	8	4	0	4	9:9	12
სან მარინო	8	0	0	8	2:35	0

VIII ჯგუფი

მაკედონია 2:1 ლიტვა
ირლანდია 0:2 რუმინეთი

რუმინეთი	8	8	0	0	18:4	24
ისლანდია	8	4	1	3	10:10	13
ირლანდია	8	3	0	5	11:7	9
ლიტვა	8	3	0	5	8:12	9
მაკედონია	8	1	1	6	3:17	4

IX ჯგუფი

სომხეთი 0:1 უკრაინა
გერმანია 2:0 ალბანეთი

გერმანია	8	6	2	0	20:3	20
უკრაინა	8	5	1	2	14:4	16
პორტუგალია	8	4	2	2	20:11	14
ალბანეთი	8	1	1	6	6:19	4
სომხეთი	8	1	0	7	8:31	3

ფეხბურთის რუბასტან

კოლუმბიელი თავდამსხმელი ალვეირო უსურიაგა, რომელიც არგენტინულ „ინდეპენდიენტში" თამაშობს, ფეხბურთიდან ორი წლით კოკაინის ყნოსვისთვის მოკვეთეს. უსურიაგა „ინდეპენდიენტე" — „სან ლორენსოს" მატჩის შემდეგ ჩავარდა.

ჩეხეთის ცნობილი გუნდი, პრაღის „სლავია" ბრიტანულმა საინვესტიციო კომპანიამ ENIC-მა შეიძინა. ახლა კლუბის აქციათა 54 პროცენტი მისია. კონტროლტის ფინანსურ დეტალებზე არაფერი უთქვამთ. ENIC აგრეთვე ფლობს შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსის", იტალიური „ვიჩენცას" და ბერძნული აეკ-ის აქციათა დიდ ნაწილს.

ინგლისური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა სერ ბობი ჩარლტონი 11 ოქტომბერს 60 წლისა გახდა. საკუთარ დღეობაზე იგი ფეხბურთის თამაშს აპირებდა, მაგრამ გეგმა შეცვალა, რომს გაფრინდა და იქ ინგლისის ნაკრებს იტალიელთა წინააღმდეგ დაუჭირა მხარი. თამაშით კი ჩარლტონი ნოემბერში ითამაშებს.

რა დააშავე, იულიან?

ზაგრების „კროაცია" 100 ათასი შვეიცარიული ფრანკით ანუ 68 400 დოლარით დაისაჯა. უეფამ ხორვატიის გუნდი იმიტომ დააჯარიმა, რომ მისმა გულშემატკივრებმა ციურიხში, „გრასჰოპერ" — „კროაციის" თამაშის შემდეგ, ქუჩებში მანქანები დალეწეს და შემდეგ მატარებლებიც იავარ-ჰმნეს. „კროაციამ" იმ დღეს 5:0 მოიგო, 5 ათასი ხორვატის ხულიგნობა კი ასანაზღაურებელი გაუხდა.

28 ათასი შვეიცარიული ფრანკი ანუ 18 ათასი დოლარი აქვს გადასახდელი პრაღის „სპარტას". მისმა მხარდამჭერებმა 17 სექტემბერს ჩემპიონთა ლიგის მატჩის, „სპარტა" — „პარმას" მსვლელობისას, მოედანზე რაღაც საგნების სროლა დაიწყეს.

ძალიან ცუდად მოქცეულა მოლდოვის ახალგაზრდული ნაკრების წევრი იულიან ბურსუკი, რომელსაც 6 ოქტომბერს პოლონელ თანატოლებთან შეხვედრისას ისეთი რამ ჩაუდენია, რომ ფეხბურთის შეფებმა მისი ორი წლით თავიდან მოშორება გადაწყვიტეს. აქ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ბურსუკის დანაშაულზე არაფერს იტყობინებიან. ნეტავ ასეთი რა მოიმოქმედა?

ჩვენი „დინამოს" მეტოქესთან, „ბრაგასთან" შეხვედრაში ილანძღა და იგინა ჰოლანდიური „ვიტესის" მოთამაშემ ჯონ ვან დენ ბრომმა. იგი შვიდ თამაშითაა დისკვალიფიცირებული, „სტრასბურის" პასკალ ნუმა, „სპარტაკის" დმიტრი ხლესტოვი და „ცრვენა ზვეზდას" გორან დრულიჩი კი ოთხ-ოთხს გამოტოვებენ.

ინგლისური „ლესტერ სიტის" მწვრთნელს მარტინ ონილს კი ჭკუა ჰქონია. მან მადრიდის „ატლეტიკოსთან" შეხვედრის დროს ფრანგ მსაჯს, რემი არელს უმიდოდ საცოდავი კაცი უწოდა, მაგრამ შემდეგ უეფაში თავისი ისეთი არგუმენტები წარადგინა, რომ მის წინააღმდეგ სანქციებს აღარ მიმართეს. ონილი მაშინ გაცეცხლებულა, მისი ფეხბურთელი მოედნიდან რომ გააძევეს.

სარეკლამო საagენტო
კოპი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

ევროპა

II ჯგუფი

იტალია 0:0 ინგლისი

იტალია: პერუცი, ნესტა, მალდინი (ბენარივო 32), ალბერტინი, კანავარო, კოსტაკურტა, დი ლივიო, ბიჯო, ვიერი, ,ძოლა (დელ პიერო 63), ინძაგი (კიეზა 46)

ინგლისი: სიმონი, კემბელი, ლესო, ადამსი, საუთგეიტი, ბეტი, ინსი, ბექჰემი, გასქოინი (ბათი 89), რაიტი, შერინგემი

გაძევება: დი ლივიო (76)

„საწყალი იტალია. საფრანგეთში ბედნიერად რომ დავეშვათ, ჩვენ პარაშუტები უნდა გავხსნათ. მალდინის ხელში პარაშუტის ქონაც ბედნიერებაა“ — დაახლოებით ასე დაასათაურა შაბათს გამართული შესარჩევი მატჩებიდან უმნიშვნელოვანესი შეხვედრისადმი მიძღვნილი წერილი „გაძეტა დელო სპორტმა“. იტალია გამარჯვებას, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრას ელოდა, მოითხოვდა, თუმცა, სურვილი ერთია და შესაძლებლობა — მეორე.

უთუო ფავორიტებად მასპინძლები ითვლებოდნენ, ოღონდ ჰოდლის შექმნილი მეტად ძლიერი ინგლისს გუნდს სათვალავში ჩაუგდებლობა მართლაც დიდი მკრეხელობა იყო — მასპინძლები ძალებს ჯეროვნად აფასებდნენ. ეს მათ თამაშამდელ საუბრებშიც გამოიკვეთა, მაგრამ სტუმრებმა ბოლომდე ითამაშეს, იომეს, იბრძოლეს და რვაწლიანი შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლებაც ღირსეულად მოიპოვეს. იტალიელები კი, ზემოთნახსენები გაზეთისა არ იყოს, მართლაც საწყლები იყვნენ.

ალბათ, კარგა ხანია, ტიფოზები ასე არ გაწბილებულან. მათი კერპები ყველანაირად ცდილობდნენ, სასურველი შედეგისთვის მიეღწიათ, მაგრამ გადაულახავ წინააღმდეგობას წააწყდნენ. კარგა ხანია, „სკუადრა აძურას“ ასე უსუსურად არ უთამაშია — ორად ორი ხეირიანი შეტევა, ისიც მეორე ტაიმის მიწურულს — აი, ყველაფერი, რისი მიღწევაც შეძლეს მასპინძლებმა მიუხედავად იმისა, რომ მთელი 90 წუთი და მსაჯის მიერ დამატებული კიდევ ათი წუთი შეუწერებლივ დარბოდნენ, ოფლს ღვრიდნენ და გამარჯვებისთვის თავს არ ზოგავდნენ. როგორ თამაშობდა ამ დროს ინგლისი? გუნდი მწვრთნელის დავალებას ზედმიწევნით ასრულებდა. არ შეიმჩნეოდა ღელვა, ქაოსი, ისინი უფრო თავდაჯერებულნი ჩანდნენ, ვიდრე იტალიელები. ამის მიზეზი კი ნათელი იყო — სტუმრებს ქულაც ჰყოფნიდათ, მასპინძელთ კი მოგება სჭირდებოდათ. მავანმა იქნებ იფიქროს, ინგლისელები მიზნის მისაღწევად ყველაფერს იღონებდნენ, შეტევაზე არც იფიქრებდნენ, მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე იზრუნებდნენო, მაგრამ საქმე ასე არ ყოფილა. ცხადია, ბრიტანელები დაცვაში ფხიზლად იყვნენ, მაგრამ არც შეტევისთვის დაუკლიათ რამე, პირიქით, პირველ ტაიმში ორი ისეთი მომენტი შექმნეს, რომ არა პერუცი და ბექემის უზუსტობა, მალდინის გუნდს საქმე ცუდად წაუვიდოდა. პირველად ტედი შერინგემმა დაჯაბნა მეურვე და ბურთი გამოგელვებულ ინსს დაუდო, კაპიტნის შეუწერებელმა და უძლიერესმა დარტყმულმა კი მართალია პერუცი ვერ გადალახა, მაგრამ მეკარე ლამის ძირს დასცა. მეორე შემთხვევაშიც ასისტენტი შერინგემი იყო, მაგრამ ამჯერად მოვლენები მარჯვნიდან განვითარდა: მცველებთან ჭიდილში თავდამსხმელმა ბურთი შეინარჩუნა, იქვე კარგ პოზიციაში მყოფი თანაკლუბელი ბექემი დალანდა კიდეც, ამის მოჭრილმა დარტყმამ კი ხარიხას გადაუზუზუნა.

ზემოთ ინსი ვახსენეთ. ჰოდლს ნაკრების კაპიტნად ადამსი, სიმენი ან ინსი უნდა აერჩია. მწვრთნელის არჩევანი უკვე იცით. ჰოდლი არ შემცდარა: კაპიტნის მართლაც გმირულმა შემართებამ, უეჭველია, ფეხბურთის ბევრი ქომაგი მოხიბლა. პაოლო მალდინისთან ბრძოლაში თავგატეხილი კაპიტანი, რომელსაც სისწლიანი მაისური ეცვა, თამაშს არ გამოეთიშა და მიუხედავად იმისა, რომ სისწლის შესაჩერებლად რამდენჯერმე მოუხდა მოედნიდან გასვლა, მაინც ბოლომდე იბრძოლა. ცხადია, თანაგუნდელის ასეთი ვაჟკაცობის შემხედვარე ინგლისელები თავს არ დაზოგავდნენ. თავდადებას და ერთიან სულისკვეთებას კი რისი მოტანაც შეუძლია, ეს ჰოდლის ბიჭებმა შაბათს საღამოს გვანახეს. რა შეიძლება ითქვას მასპინძლებზე? არანაკლები დონის ფეხბურთელებს ინგლისური დაცვის გადალახვა უჭირდათ. შარშან ნოემბერში თბილისში ნათამაშევი ადამსი, მას შემდეგ ნაკრებში პირველად რომ ირჯებოდა, ყველაფერს აკეთებდა, მეტადრე კი კემბელი გამოირჩეოდა. მან იგივე ძოლასთან და სხვა იტალიელებთან თებერვალში „უემბლიზე“ დაშვებული შეცდომისთვის სრულფასოვანი რევანში აიღო.

REUTERS რომიდან

რაიტს კანავარო და კოსტაკურტა შეჰიდებიან

მასპინძელთა ასე თუ ისე სახიფათო მომენტი მეტოქის შეცდომას მოჰყვა — კიეზამ საუთგეიტი საჯარიმოში დაბნა, ფორვარდის მახვილი კუთხიდან დარტყმულს კი სიმენი გადაეღობა. რაც შეეხება მატჩის ყველაზე მეტად ამაღელვებელ წუთს, იგი ბოლო, მეასე იყო — ჯერ ინგლისელთა შეტევისას კანავაროს შეცდომით და პერუცის უნიათობით რაიტმა ვერ იხეირა — ბურთი ცარიელი კარის ძელს მოარტყა, ოცდაოდ წამში კი ვიერის თაურმა დაინდო კარი — მადრიდის „ატლეტიკოს“ თავდამსხმელს მიზანი რამდენიმე სანტიმეტრით გაუმრუდდა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მეტად დაძაბულმა შეხვედრამ მსოფლიოს საფრანგეთის საგზურის კიდევ ერთი მფლობელის — ინგლისის ვინაობა ამცნო. ჰოლანდიელი არბიტრის საფინალო სასტვენმა რაიტს ზეციესკენ აღაპყრობინა ხელები, ინსს მაისური გააძრო, სიმენი და ადამსი ერთმანეთს ჩაკონა, ჰადლი და დანარჩენი მწვრთნელები კი სიხარულისგან ლამის აატირა.

— ვამაყობ. განა იმიტომ, რომ რვა წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშებთ, არა, უბრალოდ მეამაყება, ინგლისელი რომ ვარ. ბიჭები ნამდვილად გმირები არიან, ვაჟკაცები. კაცურად იბრძოლეს და მიზანს მიაღწიეს. ინგლისი იმსახურებდა იმას, რომ ჩემპიონატზე პირდაპირ მოხვედრილიყო. ასეთი წარმატების მოპოვება მით უფრო კარგია, როცა მეტოქე იტალიაა. დღეს ინგლისის დღეა. ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.“ — განაცხადა ჰოდლმა.

მისი ლამის ჭკუიდან გადასული კოლეგა ჩეზარე მალდინი ცდილობდა, დაწყნარებული იერი მიეღო და წარუმატებლობის მიზეზი დამაჯერებლად აეხსნა — „ხუთი შესარჩევი მატჩი მოვიგეთ, სამი ფრედ ვითამაშეთ და მაინც გადათამაშება გვიწევს. ეს საცოდაობაა, უსამართლობაა. ფიფამ სულელური წესი შემოიღო — ჩვენ ლამის ჩემპიონატის მიღმა დავრჩეთ, იამაიკას კი... კარგად ვითამაშეთ, არ გაგვიმართლა. ზოგიერთ მომენტში შეეცდით, საპოლოო ჯამში კი მეტად არასასურველი შედეგი მივიღეთ. ამაზე პასუხისმგებელი ჩემს გარდა არავინაა. ფეხბურთელები აქ არაფერ შუაში არიან. მათ ზუსტად ის შეასრულეს, რაც დავავალე. ოღონდ არ გაიტანითო, არ მითქამს. ინგლისი კი ნამეტანი გაძლიერებულა. განსაკუთრებით მათი მცველები, აგრეთვე ბექემი და შერინგემი მომეწონა. ისე, ხელის ჩაქნევა ნაადრეევია. ჯერ ყველაფერი არ დასრულებულა. ორთამაშიან დულეში აუცილებლად უნდა ვიმარჯვოთ. სხვა გზა არა გვაქვს. ჩვენ იტალია ვართ.“

ცხადია, თავისი აზრი ფეხბურთელებმაც გამოთქვეს:

ბექემისთვის, როგორც აღმოჩნდა, შაბათი მთელი ცხოვრების მანძილზე ერთ-ერთი უბედნიერესი დღე ყოფილა, ადამსისთვის — ხელახლა დაბადების, სიმენისთვის — ოცნების ასრულების, შერინგემისთვის — სიზმრიდან ცხადში გადასვლის. ინსმა კი — ძალიან მიხარია, ასე კარგად რომ ვითამაშეთ, მაგრამ იტალიაზეც გული მწყდებაო. რაც შეეხებათ მასპინძლებს, ძოლამ მეტოქე შეაქო, ძალზედ გაძლიერებულანო. შემდეგ კი თქვა, მიზანს რომ ვერ მივაღწიეთ, ამაში ყველას მიგვიძღვის წვლილი, მათ შორის მეცო. „მეტოქემ შესაძლებლობები ნათლად წარმოაჩინა. ინგლისს ბრწყინვალე გუნდი ჰყავს“ — განაცხადა კიეზამ. „ნახევარდაცვაში მოვიკოჭლებდით. მოედნის შუაწელში მეტოქე გვჯაბნიდა, ამის მიზეზი კი ინსის და გესლოინის უძლიერესი თამაში იყო“ — ეს სიტყვები იტალიელთა ამ დღეს ნათამაშევი ოთხი ფორვარდიდან ერთ-ერთს, ინძაგის ეკუთვნის.

ამ მატჩს ერთი მნიშვნელოვანი დატვირთვაც ჰქონდა — რომის ოლიმპიურ სტადიონზე ერთმანეთს ორი სხვადასხვა გაგების გულშემატკივართა უზარმაზარი არმია უნდა დაპირისპირებოდა, თუმცა შაბათს ინგლისელ ფანებს ტიფოზების ნაცვლად კარგად გაწვრთნილი და ხელკეტებით შეიარაღებული იტალიელი წესრიგის დამცველები დაუპირისპირდნენ. საერთოდ, პოლიციელებმა გულშემატკივართა, მით უმეტეს სტუმარი ფანების უსაფრთხოებაზე უნდა იზრუნონ, მაგრამ კარაბინერებმა ჯერ კიდევ პირველი ტაიმის შუა პერიოდიდან იწყეს ერთად შეჯგუფებული ინგლისელების რეზინის ჯოხებით „გამასპინძლება“. დაახლოებით 1500 პოლიციელით თითქოსდა მათი უსაფრთხოებისთვის გარშემორტყმულმა ინგლისელებმა არაერთხელ იგემეს ხელკეტების მწარე გემო, მაგრამ არც თავად დაუკლიათ ხელი — ერთი წესრიგის დამცველი საავადმყოფოში გააქნეს. ინგლისელთა ცემა მთელ მატჩს თან სდევდა. ეგ კი არა, მასპინძლებმა გაუგონარი რამ ჩაიდინეს — ფანები შეხვედრის დამთავრებიდან სამი საათის შემდეგ გაუშვეს სტადიონიდან, მანამდე კი ტრიბუნებზე ჰყავდათ დაკავებული.

თამაშამდე იტალიის სამართალდამცავებმა 30-მდე ბოროტისმზრახველი ინგლისელი გულშემატკივარი ამხილეს, 25-მდე პოლიციაში გააქანეს. გარდა ამისა, მილანი-რომის მატარებელშიც გამოჩხრიკეს გამომთვრალი ფანები და მათაც განყოფილებაში უკრეს თავი. რაც შეეხებათ მატჩის მერე ტრიბუნებზე მოყურყუტე 2 ათასამდე ინგლისელს, ისინი მხოლოდ თავიანთი ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის საქმეში ჩარევის შემდეგ გაუშვეს. მანამდე კი ინგლისელთა წარმომადგენლები — დეივიდ დევისი, დეივიდ მელორი და გრემ კელი, მათი „განთავისუფლების“ საქმეს აგვარებდნენ. განერვიულებულ და შეურაცხყოფილ გულშემატკივრებს სამი საათის შემდეგ დაატოვებინეს სტადიონი. რას გვერჩოდნენ, კაცივჭამიები კი არ ვიყავითო — ამბობდნენ ისინი. დეივიდ მელორმა, რომელიც ახლა მთავრობაში ფეხბურთის მეთვალყურეა, მოგვიანებით ყველა გულშემატკივრის სახელით მასპინძლებს შეხვედრის ორგანიზება დაუწუნა, ისიც თქვა, უხეში და შეუგნებელი პოლიციელების კაიკაცობას სასამართლოში დავადგენო.

ბოლოს კი იმას დავძენთ, რომ 0:0 თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე უწინასწარმეტყველია სერ ბობი ჩარლტონს, რომელსაც II ოქტომბერს საიუბილეო მე-60 დაბადების დღე ალექს ფერგიუსონთან, ბობი რობსონთან და სხვა გამოჩენილ ადამიანებთან ერთად უზეიმია.

ლაშა გოდუაძე

I ჯგუფი

საბერძნეთი 0:0 დანია

საბერძნეთი: ატმაძიდისი, აპოსტოლაკისი, კარატაიდისი, უზუნიდისი, კალიცაკისი, დაბიზასი, ზაგორაკისი (ალექსანდრისი 77), გეორგიადისი (კოსტანდინიდისი 46), მახლასი, გეორგატოსი (ფრანცესკოსი 46), ნიკოლაიდისი

დანია: შმაიხელი, ტომიასენი, რიპერი, ჰოგი, ჰაინცე, ჰელვეგი, ნილსენი, ვიგჰორსტი (ჯოლდინგი 56), მოლნარი (ბოლერი 73), შონბერგი, ბ. ლაუდრუპი

ბერძენთა დაუსრულებელმა შეტევებმა, მათი 70 ათასი გულშემატკივრის სამწუხაროდ, შედეგი ვერ გამოიღო. მასპინძლებმა ძელსაც მოარტყეს ბურთი და სამჯერ სტუმართა სახელგანთქმულ მეკარეს პიტერ შმაიხელს უდიდესი ოსტატობა გამოავლენინეს. იყო სხვა მომენტებიც, მაგრამ დანიელთა კარის ხაზი არაფრით გადაიკვეთა. აღსანიშნავია, რომ 74-ე წუთზე თამაში ხუთი წუთით შეწყდა, რადგან ტრიბუნებიდან მოედანზე ნასროლმა მაშხალებმა მოედანი ჯოჯოხეთს დაამსგავსა.

— ოცნება არ აგვიხდა. უამრავი მომენტი შევქმენით, გოლის გასატანად ძალ-ღონე არ დავიშურეთ, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. დანიელებს ფინალურ ეტაპზე გასვლას ვულოცავ — თქვა მატჩის შემდეგ ბერძნების მწვრთნელმა კოსტას პოლიქრონიუმ.

— ბედმა გაგვიღიმა, თამაში ფრედ დავასრულეთ და საფრანგეთის საგზური მოვიპოვეთ. აკი წინასწარვე ვიცოდი, რომ საბერძნეთში უძნელესი შეხვედრა გველოდა — დასძინა პოლიქრონიუს მეტოქე კოლეგამ ბო იოჰანსონმა.

სლოვენია 1:3 ხორვატია

სლოვენია: ბოშკოვიჩი, უნგდარო (სრებრნიჩი 73), კრიჟანი, მილანიჩი (გალიჩი 46), რუდონია, გაისერი (კარიჩი 46), ისტენიჩი, ზაპოვიჩი, ნოვაკი, სილიაკი, გლიჰა

ხორვატია: ლადიჩი, იურიჩი, ბილიჩი, სოლდო (იურჩიჩი 64), სარიჩი, ცვიტანოვიჩი, ბობანი, პროსინეჩკი, ვლაოვიჩი, ბოკშიჩი (კოვაჩი 87), შუკერი

0:1 შუკერი (11), **0:2** სოლდო (40), **0:3** ბოკშიჩი (50), **0:4** ზაპოვიჩი (72)

ლუბლიანაში გამარჯვებით ხორვატებმა ფლეი-ოფის ადგილი მოიპოვეს. მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელმა დავორ შუკერმა სლოვენ მცველთა შეცდომით დასაწყისშივე ისარგებლა და ანკარიში გაახსნა. ტაიმის მიწურულს პროსინეჩკის მიერ ჩაწოდებული კუთხურიდან ზვონიმირ სოლდომ ახლო მანძილიდან კლასიკური თაურით გაზარდა ანგარიში, კართა შეცვლიდან ხუთ წუთში კი ალენ ბოკშიჩმა, რომელიც ეროვნულ გუნდში 21-ე თამაშს ატარებდა, შუკერის ჩაწოდებით მორიგი თაური გოლი გაიტანა.

— მეტოქეზე მეტად გამარჯვება ჩვენ გვჭირდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძალიან რთული თამაშის ჩატარება მოგვიხდა — განაცხადა მოგებულთა მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა.

— ათენის შედეგმა უფრო გაგვაბარა, ვიდრე საკუთარმა. საბერძნეთთან გამუდმებული კავშირი გვქონდა და მუდმივად საქმის კურსში ვიყავით, იქ რა ანგარიში იყო — თქვა შუკერმა, რომელმაც უკმაყოფილება გამოთქვა, შეჯიბრების განმავლობაში ნამეტანი ბევრი ფრე დაგვიგროვდაო.

დანია	8	5	2	1	14:6	17
ხორვატია	8	4	3	1	17:12	15
საბერძნეთი	8	4	2	2	11:4	14
ბოსნია	8	3	0	5	9:14	9
სლოვაკეთი	8	0	1	7	5:20	1

III ჯგუფი

ფინეთი 1:1 უნგრეთი

ფინეთი: მოიანენი, ილონენი, ტუომელაინენი, ჰიპია, სოსკინენი (რისანენი 82), მალიო, რეინი, ვალაკარი, სუმიალა (იოჰანსონი 88), ლიტმანენი, პაატელაინენი

უნგრეთი: საფარი, მრაკკო, ჰალმაი, კეროეტური, ლორინცი, ლიპეი, ეგრესი (დომბი 81), სებოკი, ოროში, ნილაში (ჰორვატი 57), კოვაჩი (ილეში 57)

1:0 სუმიალა (62), **1:1** სებოკი (90)

სებოკის გოლი სებოკისა არ იყო. არც 90-ე წუთია მართალი — ოქმში იწერება ასე, თორემ სინამდვილეში მსაჯის მიერ წამატებული დრო მომდინარეობდა. ფინელები 1:0-ს იგებდნენ და მეორე ადგილზე გასვლამდე არბიტრის ჩასტვენაღა აკლდათ, მაგრამ მათ საჯარიმოში ამ დროს აირია მონასტერი. უნგრელებმა კუთხური მოაწოდეს, აქეთ-იქით ხტუნვის შემდეგ ბურთი უნგრელ თავდამსხმელს მიუვიდა, თუმცა მან დარტყმა ვერ მოახერხა. სიტუაციის გამუხტვისთვის მონდომებულმა რომელიღაც ფინელმა მცველმა კი თავისი კარისკენ დაარტყა. იქ კარის ხაზს მისი თანაგუნდელი იცავდა. მან ვითომ ბრიგერია, მაგრამ საკუთარ მეკარეს დაუმიზნა, აქედან კი ბურთი ძალიან შევარდა უნგრეთის ფლეი-ოფში.

შვეიცარია 5:0 აზერბაიჯანი

შვეიცარია: ლეშანი, ორელი (ბალა 46), უოქერი, ენოსი, ვეგა, იაკინი, კანტალუპი (ზამბაზი 74), უიკი, შაპუიზა (კუნცი 63), ზუფი, თურქილმაზი

აზერბაიჯანი: ფიდაკოვი, ვოსგანიანი (ქარიმოვი 44), აბუშევი, მუსაევი, ლიჩინი, გაისუმოვი, მ. ყურბანოვი, ყულიევი, ყ. ყურბანოვი, სულეიმანოვი (თაგიზადე 76), შირხანოვი

1:0, 2:0 თურქილმაზი (12, 23 პ), **3:0** იაკინი (43), **4:0** შაპუიზა (51), **5:0** თურქილმაზი (69ბ)

სატურნირო თვალსაზრისით, არც ერთ მხარეს უნდოდა რაიმე და არც მეორეს. ერთადერთი სურვილი მასპინძლებს ჰქონდათ — ეს გახლდათ რევანში. საქმე ისაა, რომ ავსტრიელმა მწვრთნელმა როლფ ფრინგერმა შვეიცარიელთა ხელმძღვანელის თანამდებობაზე პორტუგალიელი არტურ ჟორჟე რომ შეცვალა, პირველი შეხვედრა ბაქოში წააგო. ახლა, ამ გუნდების საპასუხო თამაშის წინ შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ ფრინგერს კონტრაქტს აღარ განუახლებს. მოკლედ, ფრინგერმა შური იძია.

ნორვეგია	8	6	2	0	21:2	20
უნგრეთი	8	3	3	2	10:8	12
ფინეთი	8	3	2	3	11:12	11
შვეიცარია	8	3	1	4	11:12	10
აზერბაიჯანი	8	1	0	7	3:22	3

IV ჯგუფი

შვედეთი 1:0 ესტონეთი

შვედეთი: რაველი, ნილსონი, ნ. ანდერსონი, მატოვაკი, სუნდგრენი, ალექსანდერსონი, ზეტერბერგი, მილდი (ჰ. ანდერსონი 65), ბლომკვისტი, დალინი (ა. ანდერსონი 79), ლარსონი (იონსონი 65)

ესტონეთი: პოომი, ლემსალუ, კირსი, ხოხლოვ-სიმსონი, მეეტი, ალონენი, არბიტერი (ზელინსკი 69), ოპერი, კრისტალი, რეიმი, ჯილკმაე

1:0 ზეტერბერგი (24)

მსოფლიოს წინა ჩემპიონატის ნახევარფინალისტი ჯგუფში ჩარჩა.

— უამრავი შესაძლებლობა გვქონდა, მაგრამ უბრალოდ გოლი ვერ გავიტანეთ — თქვა პრესკონფერენციაზე შვედთა მწვრთნელმა ტომი სვენსონმა, რომლისთვისაც ესტონელებთან თამაში ამ თანამდებობაზე ბოლო იყო — ესტონეთი დაცვისას კარგად ირჯებოდა. თავიანთ საჯარიმოში მათ შვიდი-რვა ფეხბურთელი ჰყავდათ შეჯგუფული, რომელთა გვერდის ავლაც ძალიან ძნელი საქმე იყო.

თამაშის ერთადერთი გოლი ნახევარმცველმა პარ ზეტერბერგმა გაიტანა, როდესაც დაკარგულ ბურთს უხელთა და დაბალი დარტყმით მეკარისგან მარცხენა კუთხე დალაშქრა. თავი გამოიჩინა ესტონელთა გოლკიპერმა, ინგლისური „დერბი ქაუნთის“ მოთამაშემ მარტინ პოომმა.

შოტლანდია 2:0 ლატვია

შოტლანდია: ლეიტონი, ბერლი (ბ. მაკინლი 89), ბოიდი (ტ. მაკინლი 81), კულდერვუდი, ჰენდრი, დეილი, გალაჰერი, ლამბერტი, დიური (დონელი 84), მაკალისტერი, კოლინზი

ლატვია: კარავაევი, სტეპანოვი, ლობანოვი, ზემლინსკი, შველაკოვი, ბლაგონადეჟდინი (სტალკერსი 61), ივანოვი, ბლუდიდელისი, პახარი, ბაბიჩევი, ელისეევი (რიმეუსი 68)

1:0 გალაჰერი (43), **2:0** დიური (80)

ეროვნულ ქვედაბოლოებში გამოწყობილმა შოტლანდიელმა გულშემატკივრებმა დილამდე იზეიმეს.

— ბრწყინვალედ ვითამაშეთ, თამაშის სადავეები ხელთ გვეპყრა და მოვუგეთ მეტისმეტად გულად მეტოქეს. პირველმა გოლმა დაგვამშვიდა და საბოლოო შედეგიც განაპირობა. შეჯიბრება რომ დაიწყო, დიდად მომხიბვლელი გუნდი სულაც არ ვიყავით, მაგრამ თანდათან საბრძოლო სულისკვეთება გამოვიმუშავეთ და მივიღეთ ის შედეგი, რომელმაც ფრიად გაგვახარა — ეს სქოთთა მწვრთნელის კრეიგბარუნის სიყვებია.

მაშ ასე, შოტლანდიამ ევროპაში საუკეთესო მეორე ადგილი მოიპოვა და ყოველგვარი გადათამაშების გარეშე მოიპოვა საფრანგეთის საგზური. აღსანიშნავია, რომ ლატვიელთა მეკარემ, ოლეგ კარავაევმა რამდენიმე ურთულესი დარტყმა მოიგერია, მაგრამ მონაკოელი ჯონ კოლინზის დარტყმული უხეიროდ მოიგერია და გალაჰერს ანგარიშის გახსნის საშუალება მისცა. არადა, შოტლანდიელთა კონკურენტ შვედებს სწორედ ლატვიელი კარის მცველის იმედი ჰქონდათ. მეორე გოლშიც გალაჰერმა მიიღო მონაწილეობა, მისი დარტყმული ხარიხი-

REUTERS არქივიდან

პფაიფენბერგერის ეს თაური გოლად არ იქცა, თუმცა საქმეს ოთხიც ეყო

დან დიერის მიუვიდა, რომლის თაურმაც შედეგი გამოიღო.

ავსტრია 4:0 ბელარუსი

ავსტრია: კონსელი, ჩერნი (რამუში 75), კოლერი, პფეფერი, ფაიერზინგერი, მეპლიჩი, პრილასინგი (შოპი 66), პფაიფენბერგერი, პოლსტერი, ჰერცოგი (რაინმაირი 53), შტიოგერი

ბელარუსი: საცუნკევიჩი, ლავრიკი, შტანიუკი, ოსტროვსკი, მაკოვსკი (რასუმოვი 83), ორლოვსკი, გერასიმეიცი, გურენკო, ბელკევიჩი (ბალაშოვი 54), რომაშჩენკო, კულჩი

1:0 პოლსტერი (3), **2:0** შტიოგერი (6), **3:0** პოლსტერი (16 პ), **4:0** შტიოგერი (42)

ანდრეას ჰერცოგის პასით ანგარიში ავსტრიელთა ბოლო მსოფლიო-ლაშქრობის, 1990 წლის ჩემპიონატის მონაწილე ტონი პოლსტერმა გახსნა. მანვე დაარტყა ის ჯარიმა, რომლიდანაც ბურთი ძელს მოხვდა და მეორე გოლის ავტორ შტიოგერთან დავარდა. პოლსტერმა შემდეგ პენალტი გაიტანა, ბოლოს კი ისევ შტიოგერმა იმარჯვა.

— განსაკუთრებით ჩემი ფეხბურთელების ბრძოლის ჟინმა მასიამოვნა. პირველ ტაიმში ფანტასტიკურად ვითამაშეთ, მეორეში კი საცოდავად, მაგრამ ვინმეს დადანაშაულების სურვილი არ მაქვს. ჩვენ ოცნების გუნდი სულ არ გვყავს, მაგრამ ჯგუფიდან გასვლას ნამდვილად ვიმსახურებდით — განაცხადა ავსტრიის ნაკრების მწვრთნელმა ჰერბერტ პროხაზკამ.

— ბელარუსმა კარგად ითამაშა, ჩვენ კი იღბალმა შეგვიწყო ხელი, რადგან პირველ ტაიმში ყველა საზიფათო მომენტი გამოვიყენეთ — თქვა პოლსტერმა, რომელმაც ნაკრებში 87-ედ ითამაშა.

— პირველ ტაიმში ისე მოვინდომეთ, რომ მეორეში ძალაგამოცლილნი ვიყავით — დასძინა შტიოგერმა.

ავსტრია	10	8	1	1	17:4	25
შოტლანდია	10	7	2	1	15:3	23
შვედეთი	10	7	0	3	16:9	21
ლატვია	10	3	1	6	10:14	10
ესტონეთი	10	1	1	8	4:16	4
ბელარუსი	10	1	1	8	5:21	4

V ჯგუფი

რუსეთი 4:2 ბულგარეთი

რუსეთი: ოვჩინნიკოვი, პოპოვი, ჩუგაინოვი, ცვეიბა, იანოვსკი, ტიხონოვი, ონოპკო, ალენიჩევი (კოსოლაპოვი 84), იურანი (ვერეტენნიკოვი 67), კოლივანოვი, სიმუტენკოვი (რადიმოვი 45)

ბულგარეთი: ზდრავკოვი, კიშიშევი, ივანოვი, პეტკოვი, გინჩევი, იანკოვი, ზაფიროვი, სტოიჩკოვი (კოსტადინოვი 55), ჰენევი, ილიევი (გრუიევი 67), ლეჩკოვი (ბორიმიროვი 55)

1:0 ალენიჩევი (13), **2:0** კოლივანოვი (40 პ), **3:0** იურანი (52 პ), **4:0** ალენიჩევი (57), **4:1** გრუიევი (68), **4:2** კოსტადინოვი (78)

მოსკოველების ნაქებ „ლუჟნიკზე", რომლის რეკონსტრუქციასაც 300 მილიონი დოლარი დაახარჯეს, ბურთი იძირებოდა. თურმე რუსეთის დადაქალაქში წვიმა მოსულა, და გაზონი ისე დაუსველებია, რომ სლავთა მნიშვნელობის არმქონე თამაში წვალებადღა აქცია.

კვიპროსი 2:0 ლუქსემბურგი

კვიპროსი: პანაიოტუ, კოსტა, პიტასი, ხრისტოდულო, იოანუ, პუნასი, ენგომიტისი, სპოლიარიჩი, იოანუ (აგატოკლეუსი 58), პაპავასილიუ, მალეკოსი (ოკასი 57)

ლუქსემბურგი: კოხი, ფინკე, ტილი, ბირსენსი, ვანეკი, სიბენე, ჰელერსი, ტეისი, ლანგერსი (ამოდიო 43), კარდონი (პოლტეი 75), გროფი (ჰოსინგი 83)

1:0 პაპავასილიუ (80), **2:0** სპოლიარიჩი (85)

ბულგარეთი	8	6	0	2	18:9	18
რუსეთი	8	5	2	1	19:5	17
ისრაელი	8	4	1	3	9:7	13
კვიპროსი	8	3	1	4	10:15	10
ლუქსემბურგი	8	0	0	8	2:22	0

VI ჯგუფი

ესპანეთი 3:1 ფარერები

ესპანეთი: სუბისარეტა, აგილერა (ფერერი 75), სანტი, აბელარდო, სერხი, იერო (გვარდიოლა 59), ოლი, ლუის ენრიკე, პიცი (ამავისკა 70), რაული, ამორი

ფარერები: კნუდსენი, იოჰანსენი, ი. ჰანსენი, ტორსტეინსონი, ო. ჰანსენი, მორკორე, იარნკსორი, იონსონი, მიულერი, იონსენი (ა. რასმუსენი 88), ჰეტერსენი (ი. რასმუსენი)

1:0 ლუის ენრიკე (19), **2:0** ოლი (25), **2:1** ი. ჰანსენი (44), **3:1** ლუის ენრიკე (84)

ხიხონელი გულშემატკივრის გასახარად ხიხონში დაბადებულმა და გაზრდილმა ლუის ენრიკემ ორი გოლი გაიტანა. მესამე ოლისა იყო, თუმცა სილამაზით მასპინძელთა სამივე გოლს ფარერელი იენს ჰანსენის გასროლილი სჯობდა.

— რა კარგია მშობლიურ სტადიონზე გოლების გატანა — თქვა ადგილობრივი „სპორტინგის" ყოფილმა ფეხბურთელმა ლუის ენრიკემ, რომელიც ახლა „ბარსელონაში" თამაშობს.

— მართალია, მეტი გოლის გატანა გვსურდა, მაგრამ უკმაყოფილო არც ამ შედეგითა და თამაშით ვარ — განაცხადა ესპანელთა მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ — მეტოქის საუკეთესო რგოლი დაცვის ცენტრი გახლდათ და სწორედ მისი გარღვევა გვქონდა ამოჩემებული.

ჩეხეთი 3:0 სლოვაკეთი

ჩეხეთი: სრნიჩკა, ლატალი, სუხოპარეკი, ჩიჟეკი (ლასოტა 57), რეპკა, სვობოდა, ნემეცი, ნოვოტნი, შმიცერი, ზიგლი (ლოკვენი 80), ბეიბლი

სლოვაკეთი: ვენსელი, კოზაკი, სპილარი, ტომაშეკი (ზატეკი 86), კინდერი, ტიტელი, ბალისი, ზვარა (კოზლეი 75), იანკულა, ულიაკი (სიმონი 75), მაიოროსი

1:0 შმიცერი (53), **2:0** ზიგლი (70), **3:0** ნოვოტნი (73)

ევროპის ვიცე-ჩემპიონი მსოფლიოს პირველობაზე ვერ მიდის, მაგრამ შესარჩევი ციკლის ბოლო თამაში რიხიანად ჩაატარა. მასპინძლები თამაშის პირველივე წუთიდან უტევდნენ, მაგრამ გოლი მეორე ტაიმის მერვე წუთამდე ვერ გაიტანეს, შემდეგ კი კიდევ ორჯერ მიაღწიეს მიზანს.

— შესვენებაზე ფეხბურთელებს პრესინგის გაგრძელება ვთხოვე, ასეთი ტაქტიკით კი გოლს მხოლოდ უნდა დაღლილებოდე, მეტი არაფერი — თქვა ჩეხთა თავკაცმა დუშან უჰრინმა.

მალტა 0:5 იუგოსლავია

0:1 მილოშევიჩი (80), **0:2** მიხაილოვიჩი (24), **0:3** სავიჩევიჩი (44), **0:4** მიატოვიჩი (55), **0:5** იუგოვიჩი (76)

ესპანეთი	10	8	2	0	26:6	26
იუგოსლავია	10	7	2	1	29:7	23
ჩეხეთი	10	5	1	4	16:6	16
სლოვაკეთი	10	5	1	4	18:14	16
ფარერები	10	2	0	8	10:31	6
მალტა	10	0	0	10	2:37	0

VII ჯგუფი

გელგია 3:2 უელსი

ბელგია: დე ვილდე, დეფლანდრე, დე როვერი (ვერსტრაეტენი 65), სტალენსი, სმიდტსი, ვან დერ ელსტი, ვილმოტსი, ვან კერკჰოვენი (ბორკელმანსი 80), ბოფინი, კლაესენსი (ნილისი 68), ოლივიერა

უელსი: მერიოტი, ჯენკინსი, ედვარდსი, რობინსონი, რედი, ჰემბერეჯი, სვეიჯი (ოსტერი 90), ჰიუზი, სონდერსი, ჰართსონი (ტეილორი 84), გიგზი

1:0 სტალენსი (4 პ), **2:0** კლაესენსი (32), **3:0** ვილმოტსი (39), **3:1** ჰემბრეჯი (52 პ), **3:2** გიგზი (61)

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მეხუთედ მოხვედრის მაძიებელ ბელგიას ზღაპრული სტარტი ჰქონდა: მე-4 წუთზევე ფიორენტინელი ოლივიერა ედვარდსმა საჯარიმოში წააქცია, სტალენსმა კი პენალტით გახსნა ანგარიში. შემდეგ, უელსელთა მეკარემ შეცდომა დაუშვა და დებიუტანტმა გერტ კლაესენსმა ახლო მანძილიდან გაზარდა ანგარიში, ბოლოს კი გერმანული „შალკეს" ფეხბურთელმა მარკ ვილმოტსმა დეფლანდრეს პასით თაურით გაასამა. მეორე ნახევარში უელსელებმა დასაწყისშივე გაიტანეს ორი გოლი, მაგრამ მესამე წარმატებას ველარ მიაღწიეს.

— მერე რა, რომ მეორე ტაიმი ისე კარგი აღარ იყო. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ფლეი-ოფში მოვხვდით — თქვა ბელგიელთა მწვრთნელმა ჟორჟ ლიკენსმა.

ჰოლანდია 0:0 თურქეთი

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი (პუიდონკი 79), სტამი, ფ. დე ბური, ნუმანი, კოკუ, ვინტერი, ბერხკამპი, კლუივერტი, ზვედორფი (ბოგარდი 70), ვან ბრონკჰორსტი (ოვერმარსი 54)

თურქეთი: რუშუუ, ილქერი (სელილი 79), ფათიჰი, სელიმი, ალფაი, აბდულა, ტაიფუნი, ტაიფური, ჰაქანი, ოგუზი (მუჰმეთი 86), არიფი (ჰამი 89)

— მართალია, ჩვენ მსოფლიო დონის ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ, მაგრამ მეტოქემ თავი ისე დაიცვა, რომ ყველა ეპიზოდში მთელი გუნდით საჭირო ადგილას იყო — განაცხადა ფრანკ დე ბურმა.

— მერე რა, რომ ნოლით ნოლია, ჩვენ გავედით შემდეგ ეტაპზე. ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ხალხი იზეიმებდა, ჩვენ, ჰოლანდიელები კი, რაღაცას კიდევ ველით. ახლა სამუშაოდ დრო გვაქვს — ეს გუს ჰიდინკის სიტყვებია.

ჰოლანდია	8	6	1	1	26:4	19
ბელგია	8	6	0	2	20:11	18
თურქეთი	8	4	2	2	21:9	14
უელსი	8	2	1	5	20:21	7
სან მარინო	8	0	0	8	0:42	0

VIII ჯგუფი

მაკედონია 1:2 ლიტვა

მაკედონია: სელესკი, სედლოვსკი, იოვანოვსკი, მარკოვსკი, ნიკოლოვსკი, ზაჰარევსკი, შაინოვსკი, ზემდეფ (მისყრდოვსკი 72), ხრისტოვი, ტრენევსკი, შაკირი

ლიტვა: სტაუჩუ, ჟუტაუტასი, ჟუკასი, ტერეშკინასი, გლევეკასი, სკერლა, სკინდერისი, მიკალიუნასი, შლეკისი (ბუიტკუსი 46), იანკაუსკასი, პრეკშაიტისი

1:0 შაკირი (45), **1:1** **1:2** ბუიტკუსი (69, 83)

მაკედონია პირველ ტაიმშიც უტევდა და მეორეშიც რიხიც განაგრძო თამაში, მაგრამ შესვენების შემდეგ ამოქმედებულმა ორესტას ბუტკუსმა ორჯერ სძლია მასპინძლებს — თავიდან სოლო რეიდით, შემდეგ კი მცველის, მარკოვსკის შეცდომის წყალობით.

ისლანდია 4:0 ლიხტენშტაინი

1:0 გუიუსონი (55), **2:0** გუდმუნდსონი (59), **3:0**, **4:0** გუდიონსონი (68, 73)

ირლანდია 1:1 რუმინეთი

ირლანდია: ა. კელი, კენა, ფილანი (ფლეგინგი 89), კერსლი, ბრინი, ბეგბი, მაკატირი, ჰაფტონი, მაკლაფლინი (დ. კელი 60), კასკარინო, კენედი

რუმინეთი: სტელია, პეტრესკუ, ჩებოტარუ, დობოში, გილჩა, პოპესკუ, სელიმეში, ილიე (ლაკატუში 76), მოლდოვანი (ფილიპესკუ 60), ჰაჯი (დუმიტრესკუ 84), მუნტიანუ

0:1 ჰაჯი (53), **1:1** კასკარინო (83)

რუმინეთმა და მატჩის გმირმა გეორგ ჰაჯიმ მეორე ტაიმში, მალევე გაიტანეს პირველი გოლი, შემდეგ კი მეტოქეზე დაბალი კლასის გუნდის დრო დადგა. ირლანდიელებმა რამდენჯერმე გაუშვეს ხელიდან ხეირიანი მომენტი, ბოლოს კი კასკარინოს თაურით გაქვითეს ანგარიში.

რუმინეთი	10	9	1	0	37:4	28
ირლანდია	10	5	3	2	22:8	18
ლიტვა	10	5	2	3	11:8	17
მაკედონია	10	4	1	5	22:18	13
ისლანდია	10	2	3	5	11:16	9
ლიხტენშტაინი	10	0	0	10	3:52	0

IX ჯგუფი

გერმანია 4:3 ალბანეთი

გერმანია: კანი, ტონი, კოლერი, რო�ტერი, ჰელმერი, ჰაინრიხი, ჰესლერი, მოლერი, კუნცი (მარშალი 72), ბობიჩი (ტარნატი 60), ბირჰოფი

ალბანეთი: სტრაკოშა, შულკუ, ჯუმბა, ფაკაი, ტოლე (ბალილი (ბეკო 55), ვატა, კოლა, ბუში, ბაჯი, ტარე

0:1 კოლერი (55 ს.კ.), **1:1** ჰელმერი (64), **2:1** ბირჰოფი (73), **2:2** ტარე (80), **3:2** მარშალი (86), **3:3** ვატა (88), **4:3** ბირჰოფი (90)

ჯგუფში პირველ ადგილზე გასასვლელად გერმანელებს ფრეც ჰყოფნიდათ, თუმცა ოლივერ ბირჰოფის მიერ ბოლო წუთზე გატანილმა გოლმა მათ ტრადიციულად უხერხულ მეტოქესთან ბრძოლაში გაამარჯვებინა და საფრანგეთის საზღვარზე თამამად გადააბიჯებინა.

— თვალნათლივ დავინახეთ, რომ ჯერ კიდევ უამრავი საქმეა გასაკეთებელი. ალბანელებმა ვაუკაცური ბრძოლა გაგვიმართეს, ჩვენ კი მათ შეცდომებით ვეხმარებოდით. ჩვენს დღევანდელ თამაშში კარგიც ბევრი იყო და ცუდიც. ასე გავიარეთ მთელი შესარჩევი ციკლი, რაც ნიშნავს, რომ ბევრი რამ შესაცვლელია.

— ჩვენ ძალიან ძლიერ გუნდს ძალიან დიდი წინააღმდეგობა გაეწუწიეთ. ვიმედოვნებ, რომ ჩემი ფეხბურთელები მიხვდებიან — გერმანიისმაგვართა დამარცხება შეგვიძლია! — ასეთია ალბანელთა თავკაცის ასტრიტ ჰაფიზის პოზიცია.

პორტუგალია 1:0 ჩრდ. ირლანდია

პორტუგალია: სილვინიუ, პაულინიუ სანტუში, ჰელდერი, ფერნანდო კოუტუ, დიმაპმ, პაულუ სოუზა, ოსვანუ, კონსეიკაუ (კარვალიუ 76), ფიგუ, ჟოაო პინტუ, პაულიტუ (კადეტე 62)

ჩრდ. ირლანდია: ფეტისი, ნოლანი, მოროუ, ტაგარტი, ჰილი (მაკმაჰონი 75), ლენონი (მაკარტი 75), ლომასი, ჰორლოკი, მეჯილტონი, ჰიუზი, დაუი

1:0 კონსეიკაუ (17)

— ძალიან დამწყდა გული. ეს ბიჭები საფრანგეთში ყოფნას იმსახურებდნენ. რას იზამ, ამიერიდან მომავლისკენ მზერა და მუშაობა გვმართებს — განაცხადა პორტუგალიელთა მწვრთნელმა არტურ ჟორჟემ და ქუდი დაიხურა. სომხეთის უკრაინელებთან წაგებამ მის ფეხბურთელებს მსოფლიოს ჩემპიონატის ტელევიზორში ნახვა მოუსაჯა.

სომხეთი 0:2 უკრაინა

სომხეთი: ბერეზოვსკი, კრბაშიანი (ხოჯოიანი 56), ნაზარიანი, ოვსეპიანი, ავალიანი, ვარდანიანი, პეტროსიანი (ავეტისიანი 82), სარქისიანი, მხითარიანი, მინასიანი (ასადურიანი 46), მიქაელიანი

უკრაინა: შავკოვსკი, დმიტრულინი, სკრიპნიკი (სტაროსტიაკი 70), კოვალი, ვაშჩუკი, გუსინი, მაქსიმოვი, კალიტვინცევი, კოსოვსკი (ნაგორნიაკი 68), შევჩენკო (ატელკინი 82), რებროვი

0:1 შევჩენკო (31) **0:2** მაქსიმოვი (58)

კიევის დინამოელების, ანდრეი შევჩენკოსა და იური მაქსიმოვის გოლებით უკრაინის ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა და ფლეი-ოფში მოხვდა. შევჩენკომ ვიტალი კოსოვსკის მარცხნიდან ჩაწოდებული შეაგდო ბადეში, მაქსიმოვმა კი 10 მეტრიდან ღონიერი დარტყმით მიაღწია მიზანს. სომხებს მეტოქის მეკარე სერიოზულად არ შეუწუხებიათ, 71-ე წუთზე კი ათნი დარჩნენ მოედანზე — მსაჯმა კარაბეკ მიქაელიანი გააძევა.

გერმანია	10	6	4	0	23:9	22
უკრაინა	10	6	2	2	10:6	20
პორტუგალია	10	5	4	1	12:4	19
სომხეთი	10	1	5	4	8:17	8
ჩრდ. ირლანდია	10	1	4	5	6:10	7
ალბანეთი	10	1	1	8	7:20	4

REUTERS არქივიდან

ჰოლანდიელები — სტამი, ნუმანი და კოკუ შამპანურს მიეძალნენ

დღეს ნახევრადფინალი

სულ თავიდან საფრანგეთი, ბრაზილია, რუმინეთი, ბელგია, ინგლისი, ირლანდია, ესპანეთი, ლიტვა, შვეიცარია — დანია, ინგლისი, შოტლანდია, გერმანია, ჰოლანდია და ავსტრია. მაშ ასე, მომავალი წლის მსოფლიოს ჩემპიონატის 15 ევროპელი ფინალისტიდან 11 ცნობილია. დარჩა ოთხი ვაკანტური ადგილი, რომელსაც შესარჩევ ქვეჯგუფებში მეორე ადგილზე გასული გუნდები გაითამაშებენ. შეგახსენებთ, რომ მეორეადგილოსანთა შორის საუკეთესო, შოტლანდია, პირდაპირ ფინალისტად იქცა, დანარჩენი რვა კი დღევანდელი წილისყრის შემდეგ ოთხ წყვილად დაიყოფა და ორ თამაშში, 29 ოქტომბერსა და 11 ნოემბერს, საფრანგეთში წამსვლელ კიდევ ოთხ გუნდს გაარკვევს.

მეორეადგილოსანთა საბოლოო ცხრილის შედგენისას, როგორც ადრე გაცნობეთ, მხედველობაში მხოლოდ ჯგუფში პირველ, მესამე და მეოთხე ადგილებზე გასულ გუნდებთან მიღწეული მონაგარი ითვლებოდა.

შოტლანდია	6	4	1	1	8:2	13
იტალია	6	3	3	0	5:0	12
ბელგია	6	4	0	2	11:11	12
რუსეთი	6	3	2	1	12:5	11
ხორვატია	6	3	2	1	11:8	11
იუგოსლავია	6	3	2	1	7:5	11
ირლანდია	6	2	2	2	8:6	8
უკრაინა	6	2	2	2	5:5	8
უნგრეთი	6	1	3	2	4:7	6

აზია

A ჯგუფი

ქუვეითი 1:2 ჩინეთი

0:1 ჰოი დონგი (3), **1:1** ალ ჰუვალიდი (24), **1:2** გაო ფენგი (90)

საუდეთი 1:0 კატარი

1:0 ალ მუჰალალი (60)

ირანი	4	2	2	0	9:4	8
საუდეთი	4	2	1	1	4:3	7
ჩინეთი	4	2	1	1	6:6	7
ქუვეითი	4	1	1	2	5:5	4
ყატარი	4	0	1	3	1:7	1

მომდევნო მატჩები. 17 ოქტომბერი: ქუვეითი — საუდეთი, ირანი — ჩინეთი

B ჯგუფი

უზბეკეთი 1:1 იაპონია

1:0 ყამბარალიევი (31), **1:1** ლოპესი (88)

ყაზახეთი 1:1 კორეა

0:1 იუ სუ (5), **1:1** ივეტვევი (52)

კორეა	5	4	1	0	11:4	13
საამიროები	4	2	1	1	8:5	7
იაპონია	5	1	3	1	9:7	6
ყაზახეთი	5	0	3	2	3:10	3
უზბეკეთი	5	0	2	3	8:13	2

მომდევნო მატჩები. 18 ოქტომბერი: ყაზახეთი — საამიროები, უზბეკეთი — კორეა

ამხანაგური მატჩი

საფრანგეთი 2:1 სამხ. აფრიკა

საფრანგეთი: ლეტიზი, ტურამი, ბლანი, დესაი, კანდელა (ლეილი 73), დეშამპი, პეტი (ბოლოსიანი 73), ჯორკაეფი (ბა 78), პირე (ზიდანი 46), გივარში, ანრი

სამხ. აფრიკა: არენდსე, მოტაუნგი, ტოუი, რედეგე, ჯეკსონი, მკალელე (შაი 64), თინქლერი (ლაურსენი 73), მეტი, მოშოუ (ვილიამსი 88), მასინგა, ბარტლეტი

0:1 ბარტლეტი (40), **1:1** გივარში (53), **2:1** ბა (83)

მასპინძელთა მწვრთნელმა ემე ჟაკემ ოთხი ახალწვეული ათამაშა, „არსენალის" მცველი ემანუელ პეტი კი ოთხწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნა ნაკრებში. ეს უკანასკნელი მეორე ნახევარში დაშავდა და, როგორც ჩანდა, ტკივილი ძლიერ აწუხებდა. მანამდე კი ლიონელმა გულშემატკივრებმა ორი გოლი იხილეს: ბარტლეტმა კანდელას შეცდომით იხეირა, გივარშმა კი — ანრის პასით. სხვათა შორის, ანრიმ მეურვე მოტაუნგს შავი დღე აყარა და ერთხელ ფრიად სასაცილო ვითარებაშიც ჩაადგო, როცა სამხრეთაფრიკელს ფრანგის ფინტზე თავბრუ დაეხვა და დავარდა. მასპინძელთა მორიგი გამარჯვება კი მილანელმა ბამ განაპირობა, რომელიც ჯორკაეფთან და ანრისთან ერთად თავისიანებში ერთობ გამოირჩეოდა. მატჩის შემდეგ ჯორკაეფმა იერშეცვლილი ნაკრების შესახებ თქვა, არა უშავსო, დებიუტანტებზე კი — ახალბედების კვალობაზე რიგიანად ითამაშესო. სამხრეთაფრიკელთა მწვრთნელმა კლაივ ბარკერმა კი განაცხადა, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანაში პირველი შეხვედრით კმაყოფილი ვარო.

ორჯერ მოგებული თამაში

ზელანდიელი ბლომად ჩამოიყვანეს

ხორვატებისა ეშინოდა ქართული რაგბის სამყაროს, ესაო და ახალი ზელანდიელები მრავლად ყავთ და ემანდ არ მოგვიგონო.

ოდენ ზელანდიელობა თავის თავად ბევრ არაფერს უნდა ნიშნავდეს. რაგბის დიდ ქომაგ ნოდარ ჩაჩანიძეს ამის გამო მართლად უთქვამს, ქართველი მეც ვარ, მაგრამ ჭადრაკში მოვისუსტებო.

ხორვატებს თბილისში ჩამოფრენა ერთობ დაუგვიანდათ. მათ ძირითად კვაჭს ძველი პასპორტი ქონია და გუნდიც დედამისს სანაცვლოსათვის დღე-ნახევარი ამოდ ელოდა აეროპორტში. ბოლოს მაინც უმისოდ გამოუწევიათ საქართველოსკენ, მწვრთნელს კი წაღებიც წამოუყოლებია ყოველი შემთხვევისთვის.

ყველაფერი ეს ბატონმა სუმიჩმა, ერთობ ზრდილი და კეთილი, 33 წლის ოქლენდელი რომაა, მედიას მატჩის წინა დღით გამართულ პრეს-კონფერენციაზე უამბო. თამაშის მისეული და მეტადრე ქართველთა ფრანგი მოძღვრისეული შეფასებაც უთუოდ დაინტერესებდათ ჟურნალისტებს, მაგრამ მატჩის შემდგომი პრეს-კონფერენცია გაუგებარი მიზეზების გამო არ გამართულა.

ვინც არ დაიზარა და სუმიჩი კიდევ მოიკითხა, ქართველთა ალალი თამაშისთვის მადლობა მიიღო. სტუმართა თავკაცმა თქვა, კაცის ბუნება ისეთია, რომ წაგების მერე ყოველთვის გონია, 100 პროცენტით უკეთ უნდა გვეთამაშო. აი, თამაშის წინ კი მასა და ხორვატიის რაგბის კავშირის პრეზიდენტ დანიელ ვიდიშს თავი საწყლად ეჭირათ, საქართველო რაგბში ძლიერია და მასთან გამკლავება გაგვიჭირდებაო.

ჩვენი გუნდისა არ იყოს, ხორვატებისაც ოთხი კლუბის — სპლიტის, მაკარსკას, სინის ლეგიონისა და ზაგრების ნაკრები ყოფილა. სტუმრებმა დამალეს და მედიას ზელანდიელთა ზუსტი რიცხვი არ გაუმხილეს, ესაო და ყველანი სამი-ოთხი წელი ხორვატიაში ცხოვრობენ და თუ სამხრეთი ნახევარსფეროდან ჩამოსულან, აღარც გვახსოვსო. ბოლოს მაინც სუმიჩმა ივაუკაცა და სასტარტო შემადგენლობა ზედმიწევნით ზუსტად ჩამოგვიწერა, ვიდიშმა კი ზელანდიელებზე მიგვითითა. ჰოდა, ისინი ერთბაშად ცხრა (!) დავთვალეთ.

კარგიც და ცუდიც

თამაშმა იმდენი მაყურებელი მოიზიდა, რამდენიც რუსეთთან შარშანდელმა შებმამ. და ეს მაშინ, როცა რეკლამა ერთობ სუსტი იყო.

რაგბის კავშირმა მსოფლიო თასის წარმოსაჩინებლად სხვა მხრივაც მარცხი იწვნია. ფეხბურთი რომ ყოველთვის რაგბზე უფრო პატივდებული იყო და იქნება, ახალი ამბავი როდია. ახლა გაირკვა, რომ სამბოსაც ოვალურ-ბურთა თამაშზე მეტი ხიბლი ქონია. ამის საწყაო ერთია — ტელევიზიის I არხის მიერ გამართულ-გაუმართავი პირდაპირი თუ „ირიბი" რეპორტაჟები.

სამაგიეროდ, მაყურებელმა ამჯერად ივარგა. თამაში რომ ჩაწყნარდებოდა, ნელ ტაშს დაცხებდა და გუნდს ბურთაობას თხოვდა. ივაუკაცეს ნაკრების საქომაგოდ სტადიონზე მოვლინებულმა ჯარისკაცებმაც. ისინი მღეროდნენ და დროშასაც აფრიალებდნენ. და, რა თქმა უნდა, სეირი ერთობ დამშვენა ბათუ კევლიშვილის მიერ დადგმულმა მატჩის წინა წარმოდგენამ, რომლის განმავლობაში ასპარეზის ოთხ კუთხეში ბავშვ მორაგბეთა ოთხი მატჩი მიმდინარეობდა. სხვაფრივ, სტადიონის ტაბლოს თავიდან შეცდა ანგარიში, ხოლო გამომცხადებლის აზრით, ლელო კონკრეტულ პირებს კი არ გაქონდათ, არამედ მთელ ნაკრებს!

ნუ გავამტყუნებთ გამოცდილ დიქტორს. მანა და საზოგადოებამაც ჩვენების ძალისმიერი სტრატეგიის გადამკიდე ლამის იყო ლელოს გატანის ერთადერთი ზერხი იხილა — გარღვევა, მოლი, მიძალება, მოლი, ისევ ჯაჯგურით წინსვლა ლელომდე, მერე კი ზედახორის გამართვა. მოკლედ, ფრანგი სტუმრის მიერ აფიშირებული ლაღი ბურთაობისა ნატამალიც ვერ ვიხილეთ, მაგრამ ვიმეორებთ, გუნდიცა და საზოგადოებაც მოგებით მაინც კმაყოფილი დარჩებოდა!

თავიდან დავანგრიეთ

მატჩი ნერვულად დაიწყო. მე-4 წუთზე პოშამ შორიდან კარს ვერ უწია ბურთი. მერე სტუმრებმა კიდიდან უსწოროდ მოაწოდეს. ქართველებმა იმ შერკინებაშივე აგრძნობინეს ხორვატებს ძალა: მოკლე ფრთაზე წავიდა ლაბაძე. იგი რომ შეაჩერეს, სხვამ აიტაცა ბურთი. ასე ექვსჯერ გამეორდა, „ბორჯღალოსნები" კარის ხაზს იქით ძალისძალად გადავიდნენ და ჯგუფური ლელოც გაიტანეს. ბურთი ბოლომ დაამწა ორმეტრიანმა რაფავამ, რომლის შვილსაც იმ დღეს ოთხი წელი შეუსრულდა.

საწყისი ნახევარი საათი სულ ასეთი თამაში იყო. ხორვატები აგებნენ თავის დერეფანს, ხანაც მოგებულ ბურთს კარგავდნენ, ზოგჯერაც ჩვენები მათ უკანა ხაზს ისე ჩახურავდნენ, რომ ესენი უთავბოლოდ მოისროდნენ ბურთის. ამით ერთხელ მაჩიტიძემ ისარგებლა და ბურთს ფეხი ისე მიკრა, რომ იურინმა აიტაცა და მეორე ლელო გაიტანა. მალე ალანიას გარღვევა საჯარიმოთი დასრულდა და მოდებაძემაც 35 მეტრიდან შეაგდო 13:0.

მე-18 წუთზე სტუმრებმაც დაგვანახეს, რომ რაგბისა რაღაც გაეგებათ: პოშამ და პულიიზმა ჭვარი გაკეთეს. ჯარიმა, 13:3. 21-ე წუთზე ქართველებმა აზრიანი იერიში წამოიწყეს, მაგრამ ორი გადაჯგუფების შემდეგ გაირკვა, რომ ჩვენი უკანა ხაზი სტუმრებს ამოექოლათ. 25-ე წუთზე პოშამ 33 მეტრიდან გაფუჭა საჯარიმო, მერე კი მოდებაძემ ორი წუთის ინტერვალით ორი გოლი შეაგდო 19:3. მეორე მათგანი მას შემდეგ გავიდა, რაც ხორვატთა ქიქ-ოფიდან ლაბაძემ სტუმარი შებოჭა, მერე ქავთარაშვილმა და ნაკრების ახალმა კაპიტანმა მჭედლიშვილმა შეუტიეს, სტუმრებმა კი ალანია ისევ თამაშგარედან დაიჭირეს.

პენზელი მარბიელი გია ლაბაძე დაცვაშიცა და თავდასხმაშიც პირველი იყო!

სლავები ნოკდაუნში იყვნენ, მაგრამ საქმე მაინც ცუდად წაგვივიდა. მომდევნო 20 წუთში ხორვატები გვჯობდნენ. ქულებიც მაშინ მოიმკეს, სხვაობა ოთხამდე შეგვიმცირეს და კინაღამ გარდგვიტეხეს თამაში.

34-ე წუთზე პოშას ისევ „ხაია" მოუვიდა, 37-ეზე პულიიზმა ისევ ჩაუქროლა ჩვენებს, პოშამ კი საჯარიმო ძელს დაახალა, მერე კი ზედ შესვენების წინ ქავთარაშვილმა თავისი ნახევრიდან დიდი გარბენი დაიწყო, მაგრამ სამი დარტყმის შემდეგ „ბორჯღალოსნებს" ისევ ჩაუფლავდათ იერიში.

კინაღამ შეგვარცხვინეს

მეორე ნახევრის დასაწყისში ქართველებმა ტრადიციულად წაუძინეს, თუმც კი ახალი წესებით დაწესებული ათი წუთის მაგივრად შესვენება ძველებურად ხუთს გაგრძელდა და არც გუნდებს გაუწევიათ გასახდელისკენ.

46-ე წუთზე ხორვატებმა გვათოხლეს: მათმა 9 ნომერმა საჯარიმო უცებ გაათამაშა და ალამთან ლელოში შევარდა. მერე სტუმრებმა დერეფნიდან ძველმოდური ტრიალი განახორციელეს და სამჯერ წაიბურთავეს: ურსიჩი ერთ ფაზაში მონაწილეობდა, მატიაშევიჩი — ორში, ლელო კი კიდევ ერთმა ზელანდიელმა, მუურსმა გაიტანა კარის მარჯვნივ და პოშამაც გარდასახა 19:15.

აქ გვიშველა ჯარმა, რომელმაც სხვა ქომაგებიც აიყოლია. ბედად, ხორვატებსაც ხელიდან გაუვარდათ ქართველთა ქიქ-ოფი. ხუთმეტრიანი შერკინებიადან აბდალაძემ შეუტია. ამაოდ. ჯარიმა. ჩვენებმა გაათამაშეს და ახლა ლეჟავა გაჭანდა ლელოსკენ, მაგრამ ვერც მან მიატანა. ისევ შერკინება. ჩვენები მაგრად მიაწვნენ, მაგრამ ხაზს იქით სტუმრებმა დაამწეს ბურთი. ისევ შერკინება, ისევ რქებით მიწოლა. მაგრამ რა? — ჩვენებმა ჯარიმა აიკიდეს!

მერე ისევ პულიიზი გაექცათ ქართველებს, მაგრამ რომ შებოჭეს, იურინმა თავისი ოინები გაიხსენა, ავანტურისტულად განდაგან წავიდა და დიდი გარღვევა მოაწყო. მას ქავთარაშვილი და ცაბაძე მიყვნენ, მაგრამ ჩვენები ბურთის წოლელა თამაშისთვის ისევ დაჯარიმდნენ.

61-ე წუთზე მოდებაძემ ბურთი ძელის ძირს მოარტყა. ხორვატები უკვე გატეხილი ჩანდნენ. ტეფნაძემაც გაშალა ფეხი. 65-ე წუთზე კაპიტანმა მჭედლიშვილმა მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში ორი ხელით მოიგო დერეფანი, მაგრამ ჩვენი შერკინება ისე დედლად მიაწვა, რომ ბურთი უმისამართოდ გამოუვარდა.

ამ დროს სხვაობა კვლავ ოთხი ქულა იყო. უბრალო შეცდომას მასპინძელთა დაღუპვა შეეძლო. ლელოს მახლობელი დერეფანი სტუმრებს 68-ე წუთზე ქონდათ, მაგრამ ბურთი ჩვენებმა აიღეს, ტეფნაძე კი ტანკივით მივიდა ხორვატებზე. ვითარება განიმუხტა.

კიდევ ჯგუფად

ხორვატებმაც დაკარგეს იერიშში ბურთი. ალანიამ და ლეჟავამ გააქცუნეს ქავთარაშვილი. აჩიკომ კიდეზე მაგრად გაქუსლა და ალამთან ლელოც გაიტანა, მაგრამ არ ჩაუთვალეს — გზად მოედნიდან გადაუცდა ფეხი.

თითქო ბევრით იგებდნენ, ქართველებს კარში დასარტყამი საჯარიმოები კიდეზე გადაქონდათ. 71-ე წუთზე ხუთმეტრიანი დერეფნიდან ჩვენებმა მორიგი მიხდომა განახორციელეს, მაგრამ ხორვატები კლდესავით დადგნენ. ჯარიმა. ჩვენებმა ისევ გაათამაშეს და გრანდიოზული ჯაჭვურის შემდეგ მეორე ჯგუფური ლელოც გაიტანეს. ვეტერან ლეჟავას წარდგინებით იგი ნორჩ ჯაველიძეს ჩაეთვალა.

ქიქ-ოფიდან „ბორჯღალოსნებმა" მორიგი ბლიცი განახორციელეს. მერე იყო ისევ დერეფანი, მხტომელისთვის ხელის შეშველება, გაჩერებული ლაბაძის მიხდომა, სტატიკური მოლი და ისევ ჯარიმა, რომელიც მოდებაძემ დაკრა და სხვაობა ორი გარდასახული ლელო გახადა 29:16.

ეპილოგი

ბოლოს დადგა სიმბოლური შეცვლების დროც. გამარჯვება ეროვნულ სტადიონზე კიდევ ორმა ახალბედა „ბორჯღალოსანმა" დაამშვნიკა. მაჩიტიძე 10 ნომრად გადავიდა და თუ არ გვეშლება, ბურთი პირველად (!) მაშინღა მიუვიდა ხელში. ამდენი ლოდინით გულგაწვრილებულს რაღა უნდა ექნა და თამაში ორჯერ გადაიტანა კიდეზე, რასაც ბოლო სასტვენიც მოყვა.

შარშან ძლეული რუსეთისგან განსხვავებით, ხორვატებმა ჩვენებს ვაუკაცურად მიულოცეს. გაისმა მრავალჟამიერი. „ბორჯღალოსნები" მოედანზე დაბრუნდნენ. ხალხმა ისიამოვნა და ნელ-ნელა, ნაცნობთა მოკითხვით დაიშალა. მანამდე ალბათ დაიხსომებდა სტადიონზე გამოცხადებულს, გაისად, 20 მაისს რუსეთი მეორედაც გვეწვევაო.

ასე გასრულდა ამბავი საჭირო, მაგრამ ერთობ უფერული გამარჯვებისა!

ზაალ გიგინეიშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტოები

დაგვიბრუნდა ზურა მჭედლიშვილი ზელანდიიდან, უმალ „ბორჯღალოსანთა" კაპიტნად მოგვევლინა და ზელანდიელ ხორვატებს ბევრი ბურთიც მოუხსნა

საქართველო — ხორვატია

29 (19) (3ლ,4ს) — 15 (4) (2ლ,3ს)

RUGBY WORLD CUP 1999

12 ოქტომბერი. თბილისი. ეროვნული სტადიონი. 25 გრადუსი. 15 ათასი მოსეირე

მსაჯი: ენრუ სტოიკა (რუმინეთი)

5:0 (6, რაფავა ლ); 10:0 (10, იურინი ლ); 13:0 (15, მოდებაძე ს); 13:3 (19, პოშა ს); 16:3 (28, მოდებაძე ს); 19:3 (30, მოდებაძე ს)

19:8 (46, ლუნიევიჩი ლ); 19:15 (52, მუურსი ლ, პოშა ბ); 26:15 (72, ჯაველიძე ლ, მოდებაძე ბ); 29:15 (75, მოდებაძე ს)

ნიკო	იურინი	რუსეთი	15	დენის	პულიიზი	
მახო	ურჯუკაშვილი	* გუმარი	14	ანტონი	ჟიეკოვიჩი	
კახა	მაჩიტიძე	ყოჩები	13	ბრენდონ	ვინსლოუ	*
კახა	ალანია	ქორები	12	ენდრიუ	მატიაშევიჩი	*
არჩილ	ქავთარაშვილი	იტალია	11	მარინკო	კლარიჩ-კუკოზი	©
ბესო	ტეფნაძე	ყოჩები	10	ანტონი	პოშა	
შოთა	მოდებაძე	გუმარი	9	მაიქლ	ლუნიევიჩი	*
კაკო	მაჭუტაძე	ქორები	1	პოლ	ვეგარი	*
მევლედ	მთიულიშვილი	აზოტი	2	სლობოდან	ბურსაჩი	
ლევან	ცაბაძე	საფრანგეთი	3	დავორ	კოვაჩევიჩი	
გია	რაფავა	საფრანგეთი	4	ტომე	ანტიჩიჩი	
ზურაბ	მჭედლიშვილი	© გუმარი	5	ჯეისონ	ლილასი	*
გია	ლაბაძე	რუსეთი	6	იაკსა	ლოვრეტა	
ზაზა	ლეჟავა	ყოჩები	7	პოლ	ვუიჩიჩი	*
ნიკა	აბდალაძე	* აზოტი	8	ელდონ	მუურსი	*
ირაკლი	გიორხელიძე	* ყოჩები	16	ვლადო	ურსიჩი	
ილო	მაისურაძე	* გუმარი	17	ლუკა	ბიელანოვიჩი	
აჩიკო	კობახიძე	* ქორები	18	ენთონი	სუმიჩი (მწვრთნელი)	*
რატი	ურუშაძე	ყოჩები	19	დალიბორ	სტარჩევიჩი	
ვიქტორ	დიდებულიძე	გუმარი	20	ივო	იოსიპოვიჩი	
ლევან	ჯაველიძე	* გუმარი	21	მაიქლ	ნოლა	*
ნონო	ანდღულაძე	ჰოლანდია	22	-	-	

1-21 (62 წუთზე), 10-17 (78), 7-18 (79) შეცვლები: 14-17 (33), 4-21 (40), 11-16 (50), 3-20 (62)

* ჩვენთვის ახალბედა, ხორვატთათვის — ზელანდიელი; © კაპიტანი

თბილისი კეთილი ქალაქია

აქ 9 წონაში 11 ოქროს მედალს იძლევიან

საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ექვთიმიშვილმა ისტორიული საქმე ითავა: წლების მანძილზე სამტროდ წაკიდებული სამბოს საერთაშორისო ფედერაციები შარიგა. ფიას-ის პრეზიდენტთან მიხეილ ტიხომიროვთან ერთად საფრანგეთში ესტუმრა ალტერნატიული ფედერაციის თავკაცი ეტიენ ლაბროსს, დაანმუსა რუსი და ფრანგი ჯენტლმენები — მოდით, სამბოს ინტერესებს საკუთარი ანაცვალეთ და ერთი ბანაკი, სამბოს საერთაშორისო ფედერაცია შეექმნათო. ექვთიმიშვილის წადილს — ერთმანეთისთვის ჩაეხუტებინა ორი ფედერაციის ხელმძღვანელები, რა დასამალია და, ბევრი სკეპტიკურად და ირონიით შეხვდა, აქაოდა, ამ რუსისა და ფრანგის შერიგებას ვინ აღარ ეცადა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა, რაღა ეს ქართველი დაიჭერს მათ შორის გარბენილ შავ კატასო. სიმართლე რომ ვთქვათ, ბევრი ჩვენიანიც არ ელოდა ექვთიმიშვილის გულისნადების ასრულებას, მაგრამ მან თანამოაზრეებთან ერთად ყველაფერი იღონა ტიხომიროვისა და ლაბროსის შესარიგებლად, ორივე თბილისში ჩამოიყვანა, თავიანთი ფედერაციების გაერთიანებაზეც დათანხმა და სამბისტთა ერთიანი მსოფლიოს ფედერაციის — ფიას-ის პირველი კონგრესიც გამართა საქართველოს დედაქალაქში. მკითხველმა იცის, რომ კონგრესის 25-მა დელეგატმა პრეზიდენტად ტიხომიროვი აირჩია, ლაბროსს კი ვიცე-პრეზიდენტობა აკმარეს. ფრანგის გარდა ფიას-ის კიდევ 4 ვიცე-პრეზიდენტი აირჩიეს. მათ შორის ბატონი ნოდარ ექვთიმიშვილიც. ფიას-ის ახალმა თავკაცობამ მას ჯერჯერობით ამით დაუფასა გარჯა. ისიც აღსანიშნავია, რომ ქართველთაგან ნოდარ ექვთიმიშვილი პირველია, ვინც საერთაშორისო სპორტული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტობას მიაღწია. პირველკაცობამდე კი ერთი ნაბიჯიღაა — ღმერთმა ხელი მოუმართოს ბატონ ნოდარს, ვინძლო, მალე საერთაშორისო სპორტული ფედერაციის პირველ ქართველ პრეზიდენტად გვეხილოს.

ვის ჰყავს მამა ჩვენისთანა... დავით ხახალეიშვილი შვილებთან

დიდ საქმეს — სამბისტთა შერიგებას არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა მოჰყვა — სამბისტთა მსოფლიოს XXI ჩემპიონატი, რომელსაც უკვე შეგვიძლია ვთქვათ, ღირსეულად უმასპინძლა საქართველომ. რაც ყველაზე მთავარია ჩვენთვის, ქართველმა ფალავნებმა ჩინებულად იასპარეზეს, ისე, ნაკრების თავკაცებიც რომ არ ელოდნენ და გუნდური ჩემპიონებიც გახდნენ. მათ სამბოს ფუძემდებლის ხარლამპიევის თანამემამულეებს, რუსეთის სამბისტთა გუნდს, ჩემპიონობაზე ოცნების საშუალებაც კი არ მისცეს. ასპარეზობის პირველ დღეს მხოლოდ ორმა ქართველმა მიაღწია ფინალს — არჩილ ჩოხელმა და ივანე ვამხიტაშვილმა. სამწუხაროდ, ორივე ჩვენებური დამარცხდა და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. ეს პარასკევს მოხდა. აი, შაბათ-კვირას კი, იცოცხლეთ, იხარეს სპორტის სასახლეში თავმოყრილმა სამბოს ქომაგებმა. მოდით, თანმიმდევრულად მივყვეთ ჩემპიონატის ჩვენთვის სახეირო ამ ორ დღეს.

შაბათს, 3 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ მსოფლიოს ჩემპიონები — 57, 74 და 100 კილოში. სამივე ფინალური პრძოლის დასასრულს გამარჯვების ნიშნად მსაჯებმა ქართველი ფალავნების მარჯვენა შემართეს. ესენი იყვნენ: ბადრი ჯანიაშვილი, ჯონდო მუზაშვილი და იოსებ ახალბედაშვილი. ბადრი ჯანიაშვილმა უზბეკ კუთახანოვს მოუგო პირველი ორთაბრძოლა, ამას სომეხი ალექსიანი მიაყოლა. ჯანიაშვილის წონაში (57) არც თუ ისე ბევრი მონაწილე იყო და ამ ორი გამარჯვებით ბადრი ფინალში გავიდა. აქ კი მას დამირ გილვანოვი დახვდა. თავიდან გაუჭირდა ჯანიაშვილს, კიდეც აგებდა შეხვედრას, მაგრამ ბოლოს იძალა და რუსს ორი ქულა აართვა, ამან კი ბადრის მსოფლიოს ჩემპიონობა მოუტანა.

ბადრი ჯანიაშვილი

იოსებ ახალბედაშვილი

ჯონდო მუზაშვილი

პირველი ქართველი ჩემპიონი ბადრი ჯანიაშვილი იყო, ბადრის კი ორნი მოჰყვნენ — ჯონდო მუზაშვილი და სოსო ახალბედაშვილი. ჯანიაშვილისა არ იყოს, ჯონდო მუზაშვილიც აგებდა ფინალს რუს სერგეი კოლესნიკოვთან. ეს კი არა, კოლესნიკოვს, რომ იტყვიან, ოქროს მედალი ჯიბეში ედო, მაგრამ წაგებული ბრძოლა მოიგო მუზაშვილმა: შეხვედრის ბოლო წამებზე მეტოქე დაიჭირა, ლამაზი ილეთით 4 ქულა აართვა და ჩემპიონიც გახდა.

მამუკა კურდღელაშვილი და ნათიქ ბაგიროვი

სოსო ახალბედაშვილს, შეიძლება ითქვას, მეტად გამოუცდელი მეტოქე შეხვდა — 100 კილოგრამის ფინალში სოსომდე აზერბაიჯანელმა ელხან ფოლადოვმა მიაღწია. ორივე სამბისტი ფინალში 3-3 მეტოქის დამარცხებით მივიდა, ფოლადოვმა თავისი იდარდოს, ჩვენმა კი რუსთა ნაკრების ლიდერი სურენ ბალაშინსკი დაამარცხა პირველ შეხვედრაში. უიღბლობისა რა ვთქვით, თორემ ბალაშინსკი-ახალბედაშვილს ფინალში უნდა ეჭიდავათ — 100 კილოში ფავორიტები ეს ბიჭები იყვნენ. მაგრამ რა ექნა ახალბედაშვილს, ფინალის დარი ბრძოლა სტარტზევე მოიგო, ისიც ბოლო წამებზე ჩატარებული ლამაზი ილეთით, მერე ტაჯიკი ნური ლიიკოვი ჩამოიცილა გზიდან, მას მონღოლი სეგმეტი მიაყოლა და ფინალში გავიდა. აქ კი სოსოს აზერბაიჯანელი ელიან ფოლადოვი გამოეცხადა — მეტად ტექნიკური და სხარტი ფალავანი. ჯანიაშვილისა და მუზაშვილის მსგავსად ახალბედაშვილმაც შეხვედრის ბოლო წამებზე გამოსტაცა გამარჯვება ფოლადოვს — გორში ნასწავლი მოგვერდით ჩემპიონობა გაინაღდა. ოფლშეუმშრალი მსოფლიოს ჩემპიონი ინტერვიუზეც უყოყმანოდ დაგვთანხმდა. სოსო გუშინწინ პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. გახარებულმა გკითხრა, სამი მედალი აუცილებელი იყო, თორემ შევრცხვებოდით ქართველებიო... თუმცა მსოფლიოს ჩემპიონს მიაჩნია, რომ მას მეტის გაკეთება შეეძლო... საერთო ჯამში კი, ბედნიერი ჩემპიონი საკუთარი თავის ძალზე კმაყოფილი ჩანდა.

კვირას კი მსოფლიოს ჩემპიონატზე ისეთი ამბები დატრიალდა, რომ ზოგიერთებმა ქართული სამბოს თავკაცებს სამსოფლიოსჩემპიონატოდ გაწეული გარჯა ლამის წყალში ჩაუყარეს. თუმცა, შაბათისა არ იყოს, მოდით, კვირის ამბებიც თანმიმდევრულად გავიხსენოთ.

გუშინაც 3 ქართველი გავიდა ფინალში — მამუკა კურდღელაშვილი (62 კგ), ლაშა ფიფია (82) და დათო ხახალეიშვილი (მძიმე). ბუნებრივია, 3 წონაში ჩემპიონიც 3 სამბისტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისე მოხდა, იმ დღეს 5 კაცი გახდა ჩემპიონი. ეს მოულოდნელობა შემდეგნაირად დაიწყო. ჩემპიონატის პირველ დღეს აზერბაიჯანელმა ჯეიჰუნ მამედოვმა სომეხ ერვანდ გრიგორიანს მოუგო ფინალი — 52 კილოში. მამედოვის გამარჯვებისთანავე სომხებმა ერთი ამბავი ატეხეს — აქაოდა, ჩვენებური მსაჯებმა დაგვიჩაგრეს და მამედოვს არ ეკუთვნოდა გამარჯვებაო. ეტყობა, ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გულთან ძალიან ახლოს მიიტანეს სომეხთა გასაჭირი და ორი დღის წინანდელი განაჩენი გააუქმეს — მამედოვი ჩემპიონად დატოვეს, მაგრამ არც სომეხს აწყენინეს და, როგორც ჩანს, მსაჯთა შეცდომა გამოასწორეს — ერვანდ გრიგორიანსაც ოქროს მედალი ჩამოჰკიდეს და ჩემპიონად შერაცხეს. ამით უფრო ნაღდ ჩემპიონს მამედოვს არაფერი დაუკარგავს, გრიგორიანმაც იხეირა და ცოტა არ იყოს, უცნაური მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მაგრამ, რაც მთავარია, ამით მსოფლიოს ჩემპიონატმა რაღაც დაკარგა. ამ რაღაცას კი ჩვენში პრესტიჟსა და ღირსებას უწოდებენ.

ამით გრიგორიანის ამბავს მოვრჩეთ, მით უმეტეს, ამგვარი სასეირო რამ ერთ ჩვენებურსაც გადახდა. კერძოდ, მამუკა კურდღელაშვილს. მამუკა ფინალში ბელარუსის ნაკრების წევრს ნათიქ ბაგიროვს შეხვდა. ბაგიროვმა, ცოდვას ვერ ვიტყვი, ალალად მოუგო ჩვენებურს — 4:3. კი, შეხვედრის მიწურულს იაქტიურა კურდღელაშვილმა, იქნებ სხვა მსაჯი მის ილეთს კიდეც შეაფასებდა და ქულას მისცემდა მამუკას, მაგრამ ამ შეხვედრის არბიტრებმა სხვაგვარად განსაჯეს და გამარჯვება ბაგიროვს მიანიჭეს. ეს ის ბაგიროვია, ხორვატიის ძიუდოისტთა კლუბ „ლუბროვაჩკა ბანკას“ მწვრთნელი — მოჭიდავეც რომ არის, სამბოში თუ ძიუდოში მრავალი დიდი ტიტულის მფლობელი. მამუკა კურდღელაშვილმა და მისმა მომხრეებმა გააპროტესტეს მსაჯის გადაწყვეტილება. მსაჯთა კომიტეტსაც სხვა რაღა დარჩენოდა, რაკი პრეცედენტი უკვე არსებობდა და ერვანდ გრიგორიანს დაუმსახურებელი ჩემპიონობა აჩუქეს, ამგვარი ჟესტი არც ჩვენებურისთვის დაიშურეს და კურდღელაშვილმაც დაჯილდოებისას კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ბაგიროვს დაუმშვენა გვერდი. არადა, მსაჯთაგან განაწყენებული კურდღელაშვილი დაჯილდოებაზეც არ ცხადდებოდა. რომ არა პოლიციის აკადემიის რექტორის (მამუკა ამ აკადემიის სტუდენტია) შოთა გორგოძისა და ნოდარ ექვთიმიშვილის მოწადინება, კურდღელაშვილი ამ ძალად მოგებულ მედალსაც არ ჰგუობდა. არ მინდა, ვინმეს საწყენად დაურჩეს, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას — ცოტა არ იყოს, ქართველმა სამბისტებმა ჩემპიონატის მასპინძლების კვალობაზეც კი მეტად უხვი მადა გამოიჩინეს, და ლამის ცხრავე წონაში ჩემპიონობა მოინდომეს. ეს არც სამბოს ახლადშექმნილი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს იუგოსლაველ სვეტოზარ მიხაილოვიჩს დაუმალავს. იგი განაწყენებული ტოვებს საქართველოს — კარგა ხანს გვიმტკიცებდა, ასეთი ტენდენციური მსაჯობა და ჩემპიონატი არ მახსოვს და ქართველები მეტად არაჯენტლმენურად მოიქცნენო. რაც შეეხება ნათიქ ბაგიროვს, ის სულ სხვა კაცია. გაბელარუსებულმა აზერბაიჯანელმა წყენა გულში ჩაიმარხა, კურდღელაშვილს თავად მსოფლიოს ჩემპიონმა ასეთივე ჩემპიონობა მიულოცა და ეს გვითხრა: ოქროს ქართველების სიყვარულს არ ვანაცვალებ, რას იზამ, რაც მოხდა, ყველაფერი სპორტული ენებთაღელვის ბრალიაო.

ლაშა ფიფია და შაჰმურაზ ქარიმოვი

ქართველთაგან, როგორც მოგახსენეთ, კიდევ ორმა იჭიდავა ფინალი. თუ დათო ხახალეიშვილი ჩემპიონობის უდავო პრეტენდენტი იყო, ამას ლაშა ფიფიაზე ვერ ვიტყვით — ამ მეტად ნიჭიერ სამბისტს ფინალში გამოცდილი აზერბაიჯანელი შაჰმურაზ კარიმოვი დახვდა. ლაშამ ფინალამდე ყველა ბრძოლა ლამაზად და დამაჯერებლად მოიგო, მაგრამ ... [illegible] რაფერი მოუხერხა [illegible] უპირატესობით აჯობა ჩვენებურს.

ხახალეიშვილმა კი, რომ [illegible] ხელით მიიგო ეს ჩემპიონატი. ბოლო მომენტამდე არ იყო გადაწყვეტილი, იასპარეზებდა დათო თუ არა. ჩვენი ნაკრების თავკაცებს მძიმე წონაში მის ნაცვლად ქამხაძეც ჰყავდათ შეგულებული, მაგრამ ბოლოს ხახალეიშვილმა გადაწყვიტა ჩემპიონატზე გამოსვლა და ერთობ იოლადაც მოიგო. ფინალში რუსეთის ნაკრების წევრს მურად ხაზანოვს აჯობა, რა თქმა უნდა, ჩვეულად ლამაზი და ილეთმრავალი ჭიდაობით.

სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს 5 ოქროს და 3 ვერცხლის მედალი ხვდა წილად. რაც მთავარია, რუსეთის ნაკრებს აჯობეს გუნდურ შეჯიბრებაში, მესამენი კი აზერბაიჯანელები იყვნენ.

საქართველომ სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვით დიდი საქმე გააკეთა, მით უფრო, მოშუღარი ფედერაციების თავკაცთა შერიგებით შეგვიძლია ვთქვათ, საქართველომ მსოფლიოს სამბისტთა თავშეყრას ღირსეულად უმასპინძლა. კი, ბატონო, იყო რაღაც ხარვეზები, აგრამ მთლიანობაში ჩვენებურებმა, როგორც ჩემპიონატის ორგანიზეტორებმა, ისე სპორტსმენებმა, თავი ისახელეს და დამტკიცეს, რომ ამ ერთი ციდა საქართველოს მსოფლიოს რანგის შეჯიბრების მასპინძლობა ძალუძს.

ხათუნა პაიჭაძე
ლევან ჯავახიშვილი
გურამ დოლენჯაშვილი (ფოტო)

ტექნიკური შედეგები

57 კგ. 1. ბადრი ჯანიაშვილი (საქართველო), 2. დამირ გილვანოვი (რუსეთი), 3. მიხაილ ბაკინი (უკრაინა) და ფარიდ კუიკანოვი (უზბეკეთი).

62 კგ. 1. ნათიქ ბაგიროვი (ბელარუსი) და მამუკა კურდღელაშვილი (საქართველო), 3. ანდრეი შეროსმტადუ (უკრაინა), 3. სერხიმან აგუევი (აზერბაიჯანი)

74 კგ. 1. ჯონდო მუზაშვილი (საქართველო), 2. სერგეი კოლესნიკოვი (რუსეთი), 3. დიმუპამედ მუსრალიევი (ყაზახეთი) და პაველ პერემიჩი (ბელარუსი)

82 კგ. 1. შაჰმურაზ ქარიმოვი (აზერბაიჯანი), 2. ლაშა ფიფია (საქართველო), 3. ვიტალი მიხეევი (რუსეთი) და იური სენიოატსკი (ბელარუსი)

100 კგ. 1. იოსებ ახალბედაშვილი (საქართველო), 2. ელხან ფოლადოვი (აზერბაიჯანი), 3. სერგეი ალეკხანოვი (რუსეთი) და სურენ ბელაშინსი (რუსეთი)

მძიმე. 1. დავით ხახალეიშვილი (საქართველო), 2. მურად ხაზანოვი (რუსეთი), 3. ოლეგ გრიცინინი (უკრაინა) და ვლადიმერ ემილიანოვი (ბელარუსი)

ბავშვთა კვება

Gerber

ახალი სიცოცხლის
უმშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული
ლიდერის გერბერის პატარა ქილებში
თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა

ფორმულა 1
FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP
XVI ეტაპი
იაპონიის
დიდი პრიზი

ვილნევს პატრონი ჰყავს

თუ მიხაელ შუმახერს წინა ეტაპზე ყელი საკუთარმა ძმამ გამოჭრა, ჟაკ ვილნევმა, სავსებით შესაძლებელია, „სუძუკაზე“ თავად დაილუპა თავი. შაბათს, კვალიფიკაციაზე მან კიდევ ერთხელ არად ჩააგდო ყვითელი გამაფრთხილებელი ალამი, რისთვისაც, უკვე მეორედ, დისკვალიფიკაცია მიიღო. მართალია, „უილიამსის“ პროტესტის შემდეგ ვილნევი კვირას სარბოლოდ მაინც დაუშვეს, მაგრამ საქმე უახლოეს დღეებში გაირჩევა და კანადელ პილოტს შეიძლება „სუძუკაზე“ მოპოვებული ქულებიც ჩამოართვან და ჩემპიონატის უკანასკნელ ეტაპზე ასპარეზობის უფლებაც აართვან. აღსანიშნავია ისიც, რომ ვილნევთან ერთად ყვითელი ალამი კიდევ ხუთმა მრბოლმა „ვერ დაინახა“, მათ შორის შუმიმაც, მაგრამ ამათ წესი პირველად დაარღვიეს და მხოლოდ პირობითი სასჯელი აკმარეს. თავად კვალიფიკაციაში ყველაზე სწრაფი ვილნევი, მეორე კი 0,062 წამით მას ჩამორჩენილი მისი მთავარი კონკურენტი იყო. სესიის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე უფროსი შუმახერი კიდევ ერთხელ გავიდა ტრასაზე, მაგრამ ამ დროს ჯანი მორბიდელიმ ტრასისპირა ბარიერების განგრევა მოინდომა თავისი „საუბერით“ და მაშინვე წითელი ალმები გამოჰფინეს — რბოლა შეწყდა. განახლების მერე შუმის პოულის მოპოვება აღარც უცდია, ვილნევმა ერთხელ კი გაისეირნა, მაგრამ უნიათოდ გავლილი წრის მერე ბოქსებსვე დაუბრუნდა.

კვალიფიკაციის შედეგები		
1	ჟაკ ვილნევი	1:36,071
2	მიხაელ შუმახერი	1:36,133
3	ედი ირვინი	1:36,466
4	მიკა ჰაკინენი	1:36,469
5	გერჰარდ ბერგერი	1:36,561
6	ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი	1:36,628
7	ჟან ალეზი	1:36,682
8	ჯონი ჰერბერტი	1:36,906
9	ჯანკარლო ფიზიკელა	1:36,917
10	ოლივიე პანი	1:37,073



ჟაკ ვილნევი: ეს რა ვქენი?!

რბოლა ამ სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო გამოდგა. ვილნევმა, რომელიც სტარტს ძალზე ნელა იღებს ხოლმე, ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ შუი წინ არ გაეშვა — თავიდან მარჯვნივ გაიწია და მეტოქეს გზა გადაუღობა, მერე კი საწინააღმდეგო მიმართულებით დაძრულ უფროს შუმახერს კვლავ წინ ჩაუდგა და პირველ მოსახვევში პირველი შევიდა. მესამე მიკა ჰაკინენი იყო, მეოთხე ედი ირვინი. მალე ირლანდიელმა ყველა გააოცა — მეორე წრეზე ვილნევსაც კი გასწრო. სანამ კანადელი და გერმანელი ერთმანეთს ეპაექრებოდნენ, ირვინი თითო წრეზე 6 წამს იგებდა და ზედიზედ საუკეთესო შედეგებს უჩვენებდა. ლიდერებიდან პიტ-სტოპზე პირველად სწორედ ირლანდიელი შევიდა და ტრასაზე მეოთხე დაბრუნდა, მე-19-ზე ბოქსებში შუმახერმაც შეუხვია, ერთი წრის მერე კი ვილნევმაც ტრასაზე კანადელი შუმიზე ოდნავ წინ დაბრუნდა, მაგრამ სანამ სიჩქარეს აკრეფდა, გერმანელმა სწრაფი მანევრით გვერდი აუქცია და მცირედით დაწინაურდა. მალე „ფერარის“ ტაქტიკური ჩანაფიქრიც ღღესავით ნათელი გახდა — ედი ირვინმა თანაგუნდელს გზა დუთმო, მერე კი შუმის კრუხივით გადაეფარა — ვილნევს წინ ჩაუდგა და თავისიანს დაწინაურებას შესაძლებლობა მისცა. კანადელმა ირლანდიულ ფარს ვერაფერი დააკლო და 30-ე წრეზე კიდევ ერთხელ შევიდა ბოქსებში, სადაც საკმაოდ დააყოვნეს და ტრასას მხოლოდ მეშვიდე დაუბრუნდა. ვიდრე ლიდერები მეორე პიტ-სტოპს მოითავებდნენ, პირველ ადგილზე ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა გადაინაცვლა, რომელიც ზედიზედ გადიოდა უსწრაფეს წრეებს და უფროს შუმახერს 12 წამით უსწრებდა. 37-ე წრეზე ისიც ბოქსებში შევიდა, მაგრამ იქიდან გამოსვლისას უკნიდან წამოპარული ირვინი წინ არ გაუშვია და მეორე ადგილზე დამკვიდრდა, მერე კი რბოლის ლიდერის — მიხაელ შუმახერის დასაწევად თავგამოდებული დევნა გააჩაღა. ჩასათვლელი ქულებისთვის ამ დროს ერთდროულად სამი დუელი მიმდინარეობდა: პირველი ადგილისთვის — შუმისა და ფრენცენს, მესამისთვის — ირვინსა და ჰაკინენს, მეხუთისთვის — ვილნევსა და ალეზის შორის. რბოლის დამთავრებამდე 3 წრით ადრე უფროსი შუმახერი ფრენცენს 4 წამს უგებდა და თითქოს მოგება განაღდებული ჰქონდა, მაგრამ ყოფილმა მთავარმა კონკურენტმა — დეიმონ ჰილმა საქმე კინაღამ გაუფუჭა. ერთი წრით უკან მყოფმა ინგლისელმა შუის გატარება არაფრით ინდომა, ამასობაში კი ფრენცენმა ჩამორჩენა 1 წამამდე შეამცირა. თუმცა, ეს იყო და ეს: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა მდევარს მიახლოების შესაძლებლობა აღარ მისცა და ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა — საბედნიეროდ, უმცროსი ძმა აღარ ჰყოლია გასასწრები. ფრენცენმა თავისი მეორე ადგილით „უილიამსს“ უკვე მეცხრედ მოაგებინა კონსტრუქტორთა პირველობა.

შუმახერმა ჩემპიონობა თითქმის გაინაღდა, თუმცა...

ამრიგად, ბოლო ეტაპის წინ მდგომარეობა ისევ უკიდურესობამდე დაიძაბა: თუ ვილნევს დისკვალიფიკაციას მისცემენ და „სუძუკაზე“ მოპოვებულ ქულებს არ ჩაუთვლიან, უფროსი შუმახერი უკვე სამგზის ჩემპიონია, თუმცა, საეჭვოა, ფორმულა 1-ის „ნათლიმამა“ ფრენკ უილიამსი ამას შეუერიგდეს — ივი FIA-ს, ალბათ, ისეთ წინადადებებს მიმართავს, რომელზეც იქარნი უარს ვერ იტყვიან — ფრენკის მრბოლები ხომ ფორმულა 1-ში კანონზე მაღლა დგანან, დისკვალიფიკაციები კი, როგორც წარსული მოწმობს, მხოლოდ შუმახერ-ჰაკინენის მსგავსებზე ვრცელდება.

ავთანდილ სვანიძე

12 ოქტომბერი, „სუძუკა“		
რბოლის დისტანცია 53 წრე (310,596 კმ)		
1. მიხაელ შუმახერი (ფერარი)	1:29,48,446 (207,508 კმ-სთ)	10 ქულა
2. ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი (უილიამსი)	ჩამორჩა 1,378 წამით	6
3. ედი ირვინი (ფერარი)	26,384	4
4. მიკა ჰაკინენი (მაკლარენი)	27,129	3
5. ჟაკ ვილნევი (უილიამსი)	39,776	2
6. ჟან ალეზი (ბენეტონი)	40,403	1
7. ჯონი ჰერბერტი (საუბერი)	41,630	
8. ჯანკარლო ფიზიკელა (ჯორდანი)	56,825	
9. გერჰარდ ბერგერი (ბენეტონი)	1:00,429	
10. რალფ შუმახერი (ჯორდანი)	1:22,036	
11. დევიდ კულჰარდი (მაკლარენი)	1 წრით	
12. დეიმონ ჰილი (ეროუსი)	1 წრით	
13. პედრო დინიცი (ეროუსი)	1 წრით	
14. ჯოშ ვერსტაპენი (ტირელი)	1 წრით	

საუკეთესო წრე	
ფრენცენი	1:38,942 (213,361 კმ-სთ)

რბოლას გამოეთიშნენ	
ტარსო მარკეში (მინარდი)	გაიარა 46 წრე
სალო (ტირელი)	46
პანი (პროსტი)	36
ნაკანო (პროსტი)	22
კატაიამა (მინარდი)	8
ბარიჩელო (სტიუარტი)	6
მაგნუსენი (სტიუარტი)	3

პირადი პირველობა
1. ვილნევი 79 ქულა; 2. მ. შუმახერი 78; 3. ფრენცენი 41; 4. ალეზი 35, 5. კულჰარდი 30; 6. ბერგერი 24; 7. ირვინი 22; 8. ფიზიკელა 20; 9. ჰაკინენი 17; 10. პანი 16; 11. ჰერბერტი 14; 12. რ. შუმახერი 13; 13. ჰილი 7; 14. ბარიჩელო 6; 15. ვურცი 4; 16. ტრული 3; 17-18. სალო და დინიცი 2-2; 19. ლარინი 1.

გუნდური პირველობა
1. უილიამსი — 120 ქულა (ჩემპიონი); 2. ფერარი — 100; 3. ბენეტონი — 63; 4. მაკლარენი — 47; 5. ჯორდანი — 33; 6. პროსტი — 21; 7. ზაუბერი — 15; 8. ეროუსი — 9; 9. სტიუარტი — 6; 10. ტირელი — 2.

ვაზაგაშვილი ძალიან დაგვიჩაგრეს

შაბათი, 11 ოქტომბერი

1995 წლის 11 ოქტომბერი შესანიშნავი დღე იყო ქართული სპორტის ისტორიაში. იმ დღეს ჩვენმა ფეხბურთელებმა ბულგარეთი სძლიეს, კალათბურთელებმა — ბოსნია, ხოლო გია თორთლაძემ ჰიმალაის ერთ-ერთი რვაათასიანი დაიპყრო. მაშინ „სარბიელმა“ ამ თარიღს „გამარჯვების დღე — სასწაული“ უწოდა.

თავისუფლად შეიძლებოდა, რომ წლევანდელი 11 ოქტომბერი უფრო დიდი დღესასწაული ყოფილიყო ჩვენთვის. საქართველოს სპორტს სულ ერთი ნაბიჯი აკლდა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ ოქრომდე, მაგრამ ვინ გადაგადგმევინა ეს ერთადერთი ნაბიჯი, რომელიც ჩვენს მატიანეს უმნიშვნელოვანეს, ოქროს ფურცელს შემატებდა.

გიორგი ვაზაგაშვილი

გიორგი ვაზაგაშვილი ქართველია, ქართველი ძიუდოისტი. მე მისი ერთ-ერთი გულშემატკივარი და ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი. მე მას არ ვიცავ, არც როგორც ქართველს და არც როგორც ნაკრების წევრს. ვაზაგაშვილს ჩემი დასაცავი არაფერი სჭირს. მერწმუნეთ, რასაც ვიტყვი, ობიექტურად ნათქვამია: გიორგის თავხედურად ააცალეს ფინალის საგზური და, ალბათ, ოქროს მედალიც. ნახევარფინალის შემდეგ, სადაც მას ფრანგ ბენბოდაუდთან წააგებინეს, იაპონელთა დელეგაციამ ოლიმპიური ჩემპიონების იამასიტასა და საიტოს მეთაურობით, გვითხრა — ამ შეხვედრით რეალური ჩემპიონი დაიკარგაო. ფრანგთა მწვრთნელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა მარკ ალექსანდერმა გიორგის სინანულით თავზე ხელი გადაუსვა, თითქოს ბოდში მოუხადაო. ხოლო ამ წერილის წერის დროს (ამას სასტუმროს ჰოლში ვაკეთებ) ყველაფრის ჩემპიონი, პოლონელი პაველ ნასტულა თავზე მადგას და მსაჯებისა და ორგანიზატორების პოლონურ-რუსულ-ინგლისური გინებით მუშაობაში ხელს მიშლის.

მასპინძელთა არაობიექტურობა ქართველებმა მეტად მწარედ ვიწვნიეთ. 65 კგ წონაში ასპარეზობის დაწყებისთანავე ცხადი გახდა, რომ ყველაფერი კეთდებოდა ბენბოდაუდის გასაჩემპიონებლად. ეს ყველაფერი იმით დაიწყო, რომ თურქ ოზქანს წააგებინეს ჰოლანდიელ ვან კალკენთან, რითაც ერთი კონკურენტი მოაშორეს. ვაზაგაშვილის ქვეჯგუფში კი იაპონელ ოლიმპიურ პრიზიორ ნაკამურას ალჟირელ მერიჯასთან არ სწყალობდნენ. მერე ალჟირელი შეხვდა ბენბოდაუდს, ბოლო წამებზე იპონზეც დაახეთქა, მაგრამ გაგიგონია?! ამასობაში ვაზაგაშვილის მშობლებსაც შეეცადნენ და შვედ ბენგსტონთან ჭიდაობისას ორი ვაზარი იუკოებად ჩაუთვალეს, ხოლო შვედს კი ანალოგიური შეფასება საიდანღაც გამოუგონეს. ნახევარფინალში რაც მოხდა, იმას ცოტა მოგვიანებით მოგახსენებთ. მეორე ქვეჯგუფში კი „მწვანე გზა“ აუნთეს კორეელ კიმ ჰიუკს და... სწორედ ამაში შეცდნენ. ეს კორეელი შედარებით ახალბედაა, იფიქრეს, ფრანგს ამასთან რა უნდა გაუჭირდესო და თავიც სამშვიდობოს დაიგულეს. კიმ ჰიუკიც ადგა და ბენბოდაუდი ლურსმანივით ჩაარჭო ტატამში, რითაც მსაჯორგანიზატორებს მაქინაციების საშუალება მოუსპო. საერთოდ, ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ფრანგს სასიკვდილოდ თუ არ დააგდებ, ისე არ მოგაგებინებენ...

პირველ წრეში ვაზაგაშვილს ირანელი ჰაგჰანი ზეინოლაბედინი შეხვდა. გიამ თავიდანვე შეუტია და ირანელი ტატამიდან გაქცევისთვის ჩუით გააფრთხილეს. სცენარი არც მერე შეცვლილა და საბოლოოდ სპარსი მოხსნეს.

შემდეგი იყო შვედი გაბრიელ ბენგსტონი, რომელმაც ერთობ რიხიანად დაიწყო. რამდენიმე ფანდიც სცადა და ერთ-ერთ ამნაირში რატომღაც იუკოც მისცეს. ვაზაგაშვილი არ დაიბნა და ჯერ ჩახტომილი კისრულით, შემდეგ კი გვერდული მოწოლით აშკარა ვაზარები მოიპოვა, მაგრამ იუკოები დაუფიქსირეს. საბედნიეროდ, გამარჯვებისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

რუს მაგომედ ჯაფაროვთან შეხვედრას სულ 14 წამი დასჭირდა — ერთი გვერდიდან ფეხის ამორტყმა და მსაჯის ხელი ჰაერში იყო აღმართული. ამით დილის პროგრამა მორჩა და ყველა ნახევარფინალისთვის მოვემზადეთ, რომელიც საღამოს უნდა გამართულიყო.

ფრანგი ლარბი ბენბოდაუდი კარგი მოჭიდავეა, ევროპის პრიზიორიცაა, თანაც ვაზაგაშვილისთვის მეტად უხერხული დგომი აქვს. თავიდან უპირატესობას ფრანგი ფლობდა, გიას მარჯვენა ხელს უჭერდა და კოკაც მითვალა, ჩვენებური კი შიდოთი გაფრთხილეს. სწორედ აქ მოხდა მთავარი უნამუსობა: ვაზაგაშვილის დაწყებულ, შესრულებულ და დამთავრებულ ფანდში იუკო... ფრანგს მისცეს. შეფასება რომ გიას ეკუთვნოდა, ამას ბეციც დაინახავდა, მაგრამ მსაჯებს ფეხებზე არ ეკიდათ? ამით დაბნეულმა ვაზაგაშვილმა კიდევ ერთი იუკო გაუშვა, მაგრამ გონზე მალე მოვიდა და ბენბოდაუდი მაგრად შეავიწროვა. ერთი იუკო უმალვე გამოქვითა, ამის შემდეგ ფრანგი სულ ხაზისკენ მიიწევდა და მუხლებზე იჩოქებდა, მაგრამ გაფრთხილება არსად სჩანდა. როდის-როდის გაიმეტეს მისთვის ერთი შიდო, მაგრამ მას ჭიდაობის ყაიდა არ შეუცვლია კვლავ გაურბოდა ბრძოლას. შეჯიბრება საფრანგეთში რომ არ ყოფილიყო, ბენბოდაუდს მოხსნა არ ასცდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემპიონატი პარიზშია. ფრანგი ჩუით დამთავრებამდე 9 წამით ადრე გააფრთხილეს, ისე, რომ ვაზაგაშვილს შესატევი დრო აღარ დარჩენოდა. საბოლოოდ, ფრანგმა ერთი კოკას წყალობით მოიგო, თუმცაღა, გაიმეორებ, რომ მას ვაზაგაშვილის მიერ დამსახურებული იუკო მიაწერეს.

ვაზაგაშვილს 15 წუთში მოუწია მესამე ადგილისთვის შეხვედრამ. კუბელი ისრაელ ფერნანდესი თავიდან აქტიურობდა და დაწინაურდა კიდეც. გიორგი არ აღელდა და ხელსაყრელი მომენტისთანავე შებოჭვაზე დაიჭირა კუბელი, ხოლო 30 წამის შემდეგ უკვე მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი იყო.

ტატამიდან გამოსვლის შემდეგ ვაზაგაშვილს ცრემლი წასკდა. მაგრამ ეს იყო ვაჟკაცის ცრემლი. იმ ვაჟკაცისა, რომელმაც ყველაფერი გაიღო ჩემპიონობისთვის და რომლის ბედსაც ვიღაც თახსირი ხალხი თავის ნებაზე წყვეტს. ამის თაობაზე ენამოსწრებულად შენიშნა ერთმა ქართველმა ქალმა, რომელიც პირველად დაესწრო ძიუდოს: „ძიგორო კანო, ძიუდოს ფუძემდებელი, ძალიან შემცდარა, როცა სპორტის ისეთი სახეობა მოიგონა, სადაც მსაჯებს ნებისმიერი ლოგიკის და წესების საწინააღმდეგოდ შეუძლიათ, თავისთვის სასურველ მოჭიდავეს მოაგებინონ“.

იმასღა დავძენ, რომ ვაზაგაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონატებზე მესამე მედალი მოიპოვა. მანამდე მის კოლექციაში თითო ბრინჯაო (1993) და ვერცხლი (1995) იყო.

ამავე დღეს იასპარეზა ზაზა გულიაშვილმაც (71 კგ). ივი... ოვიდან ვაზირს უგებდა თურქ ბექთაშ დემირელს, მაგრამ წამიერი უყურადღებობა იპონად და შეჯიბრებიდან გამოთიშვად დაუჯდა.

მერაბ რატიშვილი

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი პარიზიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“

კაცები:

71 კგ: 1. კენჭო ნაკამურა (იაპონია), 2. კრისტოფ გალიანო (საფრანგეთი), 3. გილერმე ბენტეში (პორტუგალია) და ვსევოლოდ ზელიონი (ლატვია)

65 კგ: 1. კიმ ჰიუკი (კორეა), 2. ლარბი ბენბოდაუდი (საფრანგეთი), 3. გიორგი ვაზაგაშვილი (საქართველო) და ვიქტორ ბივოლი (მოლდოვა)

ქალები:

56. კგ: 1. იზაბელ ფერნანდესი (ესპანეთი), 2. დრიული გონსალესი (კუბა), 3. მაგალი ბატონი (საფრანგეთი) და იან სუნ აე (ჩრდილო კორეა)

52 კგ: 1. მარი-კლერ რესტუ (საფრანგეთი), 2. იუნ სუკ ჰი (კორეა), 3. ნიკოლა ფლაგოტეე (ბელგია) და იზაბელ შმუტცი (შვეიცარია)

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეკველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ჭუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჯედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29